

საქართველოს მთავრობა
საერთაშორისო განვითარების ასოციაცია
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო



**E-60 საავტომობილო მაგისტრალის
იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის (კმ 56 – კმ 80)
მოდერნიზაციის პროექტი**

ბანსახლების სამოქმედო გეგმა

ტომი 1: სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და
საკომპენსაციო ზომების მეთოდოლოგია

2008 წ.

KOCKS
INGENIEURE

KOCKS CONSULT GMBH
Consulting Engineers ასოცირებული პარტნიორი
Stegemannstr. 32 _ 38
56068 Koblenz, Germany

 **GEOGRAPHIC**
GIS & RS CONSULTING CENTER

GIS&RS Consulting Center
GEOGRAPHIC
ბულაჩაურის 10
თბილისი, საქართველო

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
1. შესავალი	9
1.1. ზოგადი დებულებები	9
1.2. პროექტის აღწერა	10
1.3. გზის საპროექტო მონაკვეთის აღწერა	11
1.4. ძირითადი ზეგავლენების კრებსი	13
1.5. მიწის შესყიდვა და განსახლების მიზნები	13
1.6. ზეგავლენების მინიმუმაციისათვის გათვალისწინებული ალტერნატივები	14
1.7. გარდაუვალი ზეგავლენები	15
2. პროექტის არეალის სოციოეკონომიკური ფონი	16
2.1. ეროვნული კონტექსტი	16
2.2. ადგილობრივი კონტექსტი	18
2.3. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციოეკონომიკური პროფილი	19
დემოგრაფიული პროფილი	19
სახლ-კარი	21
შემოსავლები და ხარჯები	21
საბაზო მომსახურება	23
სიღარიბის აღქმა	23
დამოკიდებულება პროექტისადმი და მოლოდინები	24
სოციალურად დაუცველი შინამეურნეობები	25
3. მიწის შესყიდვის მასშტაბები და განსახლება	26
3.1. ზეგავლენის შეფასება: მიდგომა და მეთოდები	26
(i) მიწის შესყიდვის ჩარჩოების განსაზღვრა	26
(ii) აქტივების ინვენტარიზაცია, დეტალური საინვენტარიზაციო და სოციოეკონომიკური გამოკვლევა	27
3.2. პროექტით მოცულ შინამეურნეობათა და პირთა აღწერა	27
3.3. ზეგავლენის ფარგლები	28
(i) პროექტით მოცული მიწების დახასიათება	28
(ii) ზემოქმედება მიწაზე	29
(iii) ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე	30
(iv) ზემოქმედება მოსავალსა და ნარგავებზე	30
(v) ზეგავლენა ბიზნესზე	30
3.4. საკომპენსაციო თანხების რაოდენობის განსაზღვრა	36
4. პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩოები	38
4.1. საქართველოს კანონმდებლობა	38
4.2. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა	39
4.3. საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის განსახლების სამოქმედო პოლიტიკის შორის არსებული განსხვავებანი და მათი გადალახვის ზომები	40

5.	ბასაჩივრება და ზარალის ანაზღაურების მექანიზმები	41
6.	კონსულტაციები, თანამონაწილეობის მიღზომები, ინფორმაციის გავრცელებისა და გახსნილობის მოთხოვნები	42
6.1.	პროექტით დაინტერესებული წრეების იდენტიფიკაცია	42
6.2.	ინფორმაციის გავრცელება, მონაწილეობა, კონსულტაციები და გახსნილობა	42
7.	განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო ზომები	44
7.1.	საკომპენსაციო უფლებების მატრიცა და საკომპენსაციო ზომები	44
7.2.	გენდერული გავლენები და შემარბილებელი ზომები	46
8.	ბსგ-ს განხორციელება და ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობა	48
8.1.	სარეალიზაციო საქმიანობა და განრიგი	48
(i)	ბსგ-ს საბოლოო ვარიანტის მომზადება	48
(ii)	ბსგ-ს განხორციელება	48
(iii)	მინის შესყიდვის პროცედურა	51
(iv)	საექსპროპრიაციო პროცედურები	52
(v)	მშენებლობის ეტაპი	52
(vi)	სადაო საკითხების მონესრიგება	52
8.2.	ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობა	54
9.	მონიტორინგი და ანგარიშგება	57
10.	ადგილმონაცვლეობის შეფასებები და ბიუჯეტი	58
10.1.	მინის კომპენსაციები	58
10.2.	შენობა-ნაგებობების კომპენსაციები	58
10.3.	ნარგავების კომპენსაციები	59
10.4.	მოსავლის კომპენსაციები	59
10.5.	ბიზნესისა და შემოსავლის კომპენსაციები	60
10.6.	ბსგ-ს სარეალიზაციო ბიუჯეტი	60
10.7.	კრებსითი საბიუჯეტო მოთხოვნები	60
11.	ლიტერატურა	61
12.	დანართები	62

დანართები:

დანართი 1.	ინვენტარიზაციისა და შეფასების ფორმა	62
დანართი 2.	სოციალურ-ეკონომიკური გამოკითხვის კითხვარი	69
დანართი 3.	საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრების ოქმები	79
დანართი 4.	საზოგადოებრიობისთვის მიწოდებული საინფორმაციო მასალა	84
დანართი 5.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნაკვეთების სია	88
დანართი 6.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი აქტივები	100
დანართი 7.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოციალურად დაუცველი შინამეურნეობები	109
დანართი 8.	სასოფლო-სამეურნეო მიწების შეფასების მეთოდიკა	112
დანართი 9.	მრავალწლიანი ნარგავების შეფასების მეთოდიკა	115
დანართი 10.	ნაგებობებისა და არა სასოფლო-სამეურნეო მიწების შეფასების მეთოდიკა	119
დანართი 11.	ქონების რეგისტრაციი და ექსპროპრიაციის პროცედურები	123
დანართი 12.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა კომპენსაციები	129

ცხრილები

ცხრილი 1.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირთა რაოდენობა ადგილმდებარეობის მიხედვით	27
ცხრილი 2.	მიწაზე ზეგავლენის კრებსი	32
ცხრილი 3.	ნაგებობების რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა	33
ცხრილი 4.	ნარგავების რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა	34
ცხრილი 6	ზემოქმედება სხვადასხვა ბიზნესსზე	35
ცხრილი 6.	საკომპენსაციო უფლებების მატრიცა	46
ცხრილი 7.	განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი	53

ნახატები

ნახატი 1.	პროექტის განხორციელების არეალის რუქა	12
ნახატი 2.	მამაკაცთა ასაკობრივი განაწილება პროექტის ზემოქმედების არეალში	20
ნახატი 3.	ქალთა ასაკობრივი განაწილება პროექტის ზემოქმედების არეალში	20
ნახატი 4.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საშუალებანი	21
ნახატი 5.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა განაწილება ერთ სულზე შემოსავლების მიხედვით	22
ნახატი 6.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა ხარჯების სტრუქტურა	23
ნახატი 7.	საბაზო მომსახურება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობებისთვის	24
ნახატი 8.	საკადასტრო ნაკვეთების შაბლონის ნიმუში პროექტის მოქმედების არეში	29

გლოსარიუმი

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (შინამეურნეობები)	ადამიანები (შინამეურნეობები), რომლებსაც შეეხება პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებები მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების კუთხით
კომპენსაცია	ფულადი თანხა ან სხვა რაიმე საფასური, რომლის მიღების უფლება გააჩნიათ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს დაკარგული მიწის, რესურსებისა და შემოსავლის სანაცვლოდ
ექსპროპრიაცია	სუვერენული უფლების ძალით სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების ჩამორთმევის ან შეცვლისაკენ მიმართული ქმედებები
მინენტ დომინ	სახელმწიფოს სუვერენული უფლება იძულებით გაასხვისოს კერძო საკუთრება
საკომპენსაციო ზომები	რიგი ზომებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთათვის კომპენსაციების გაცემას, შემოსავლების აღდგენას, საცხოვრებელი შეცვლისას დახმარებას, საშემოსავლო სუბსიდიებს მათი დანაკარგის ხასიათიდან გამომდინარე, რათა აღდგენილ იქნას მათი ეკონომიკური და სოციალური ბაზა
მიმღები მოსახლეობა	იმავე ან მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც უნდა ჩასახლდნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, მოზინადრე მოსახლეობა
შემოსავლების აღდგენა	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის შემოსავლის წყაროსა და საცხოვრებელი სტანდარტის აღდგენა
არანებაყოფლობითი განსახლება	სარეალიზაციო პროექტის შედეგი, რომელსაც მოსდევს განსახლებასთან დაკავშირებული გარდაუვალი დანაკარგები რომლებიც თავისი მხრივ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს არ უტოვებს სხვა არჩევანს, გარდა იმისა, რომ მოიწყონ ცხოვრება და მოიპოვონ შემოსავლებისა და აქტივების წყარო სხვა ადგილზე
ადგილმონაცვლეობა	საცხოვრებლის აშენება და სხვა აქტივების შექმნა პროდუქტიული მიწისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ჩათვლით სხვა ადგილზე
რეაბილიტაცია	შემოსავლების საარსებო, საცხოვრებელი და სოციალური სისტემის აღდგენა
ადგილმონაცვლეობის ღირებულება	საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შედეგად დაკარგული აქტივებისა და შემოსავლების ღირებულება გადაადგილების ხარჯების ჩათვლით
განსახლების ეფექტი	მატერიალური და არამატერიალური აქტივების დაკარგვა სახლების, თემების, პროდუქტიული მიწის შემოსავლის მომტანი აქტივებისა და წყაროების, საარსებო საშუალებების, კულტურული კერების, სოციალური სტრუქტურების ქსელებისა და კავშირების, კულტურული იდენტურობისა და ურთიერთდახმარების მექანიზმების ჩათვლით

აკრონიმები

ჰა	=	1 ჰექტარზე
ეგბ	=	ევროპის განვითარების ბანკი
დშგ	=	დეტალური შეფასებების გამოკითხვა
მშპ	=	მთლიანი შიდა პროდუქტი
ქშპა	=	ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირები
ეგს	=	ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
პგსე	=	პროექტის განხორციელების საორგანიზაციო ერთეულ
პზქმპ	=	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი
გსგ	=	განსახლების სამოქმედო გეგმა
გსო	=	გზების საექსპლუატაციო ოფისი
აო	=	არასამთავრობო ორგანიზაცია
გუ	=	გზის უფლება
ეგსგდ	=	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტი
გდმგ	=	გარემოს დაცვის მენეჯმენტის გეგმა
კს	=	კომპეტენციის საზღვრები
ქთს	=	ქვეყნების თანამშრომლობის სტრატეგია
სგა	=	საერთაშორისო განვითარების ასოციაცია

ეროვნული ვალუტის ერთეული - ლარი
საქართველოს ეროვნული ბანკის კურსი
2007 წლის 20 ივლისს

1 US\$ = 1,6655 ლარი

1 ლარი = 0,6004 US\$

წინასიტყვაობა

წინამდებარე განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადებულია მსოფლიო ბანკის არანებაყოფილობითი განსახლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტისა (OP4.12) და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების კომპენსაციების შესახებ კანონებისა და დებულებების გათვალისწინებით. მასში განხილულია ზეგავლენები, საკომპენსაციო პოლიტიკა, კომპენსაციებისა და რეაბილიტაციის პირობები, ღირებულების შეფასებები და გსგ-ს განსახორციელებელი სტრატეგიები. აგრეთვე შემუშავებულია გსგ-ს განხორციელების გრაფიკი, რაც საშუალებას იძლევა, რომ სათანადო ყურადღება მიექცეს საქართველოს E-60 გზატკეცილის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის (55—80კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების ზემოქმედებას მოსახლეობაზე და შეარბილოს იგი. გსგ უზრუნველყოფს სხვადასხვა ზემოქმედებებისათვის საჭირო შემარბილებელ ზომებსა და მათი განხორციელების მექანიზმს.

წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში დაგეგმარების კონსულტანტის მიერ მომზადებული და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული გზის საბოლოო მოხაზულობა შეჯერებულ იქნა საკადასტრო რუქებს. მიწაზე და მასზე მოთავსებულ საკუთრებაზე ზემოქმედების ხარისხი, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმ სამუშაოთა მასშტაბზე, რომელიც ითვალისწინებს არსებული გზის გადაქცევას სტანდარტულ ორმხრივ ორ-ორზოლიან სავალ გზად: პარალელური სასოფლო გზების, შემოვლითი გზებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობას, სადრენაჟო სისტემის სრულყოფას და წყალსადენი მილების დამონტაჟებას, გზის მიღმა მომსახურების ზონების შექმნას, საგზაო აღჭურვილობისა და ნიშნების დამონტაჟებასა და გზის მარკირებას მოძრაობის უსაფრთხოებისათვის, საკონტროლო ხელსაწყოების მონტაჟს და სხვ. ზოგიერთი სეგმენტისათვის სასურველია გაუმჯობესდეს გზის სიმრუდის რადიუსი, რათა მისი მახასიათებლები შესაბამისობაში მოვიდეს სიჩქარის საპროექტო ზღვრულ მნიშვნელობებთან. ამ სახის ცვლილებები მოითხოვს გზის არსებული მოხაზულობის კორექტირებას, რისთვისაც საბოლოოდ საჭირო გახდება დამატებითი მიწების შეძენა გზის საფარისა და გზისპირების კონსტრუქციებისათვის, რაც კიდევ უფრო ზრდის პროექტის ზომქმედების დონეს.

სულ 9,1 ჰა, აქედან კერძო 8,7 ჰა და მუნიციპალური 0,4 ჰა, მიწა საჭირო არსებული დაახლოებით 24-კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციოდ და გასაფართოებლად. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კერძო მიწების უმრავლესობა დაკავებულია მარცვლეულით, ბოსტნებითა და მრავალწლიანი მცენარეებით, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებით, რომლებიც მდებარეობენ ნაკვეთის შიგნით, მაგრამ გზიდან მოშორებით. თუმცა არსებობს სხვა ნაგებობებიც, რომლებიც ექცევიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ. მათი გარკვეული ნაწილი წარმოადგენს გზის გასწვრივ განლაგებულ დროებით ჯიხურებს, რომლებიც მგზავრებს თავაზობენ გამაგრებულ სასმელებსა და ათასგვარ წვრილმანს. ამის გარდა, ზეგავლენა შეიძლება შეეხოს მუდმივმომქმედ კომერციულ ნაგებობებსაც, რომელთაც გააჩნიათ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტის ოფიციალური ნებართვა.

საკომპენსაციო მატრიცაში შეჯამებული საკომპენსაციო ღონისძიებები მოიცავენ ფულად ანაზღაურებას ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ნაკვეთებისათვის, ტოლფასი ნაკვეთების შეძენის ღირებულების ოდენობით, ასევე ანაზღაურებას სხვა დაკარგული აქტივებისათვის და სარეაბილიტაციო ღონისძიებებისათვის როგორც ეს ურჩევნია პროექტის

ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ თითოეულ პირს და შეთანხმებულია მასთან და ადგილობრივ ადმინისტრაციასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის მესაკუთრეთა გარკვეული რაოდენობა კარგავს საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ეზოების (საკარმიდამოს) მნიშვნელოვან ნაწილს, უშუალოდ სახლების ან სხვა შენობების დაზიანება არ არის მოსალოდნელი. ფიზიკური ადგილმონაცვლეობა არ არის საჭირო, და მესაკუთრეებმა გამოთქვეს სურვილი კვლავ იცხოვრონ საკუთარ სახლებში იმ შემთხვევაშიც, თუ სათავსოთა ნახევარს დათმობენ, რათქმაუნდა შესაბამისი კომპენსაციის გადახდით. მათთვის, ვინც კარგავს შემოსავლის ან სასოფლო-სამეურნეო მიწის 50%-ზე მეტს გათვალისწინებული იქნება დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

სამოქალაქო სამუშაოებით გამოწვეული დროებითი ზემოქმედების შესარბილებლად გსგ ითვალისწინებს შემდეგ ზომებს:

- უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთათვის, საქონლისა და სამოძრაო საშუალებებისათვის გზამდე მიღწევისა და გზის გადაჭრის შესაძლებლობას გზის რეკონსტრუქციის პროცესში. (მუდმივი გადაკვეთის პუნქტებისა და ფეხით მოსიარულეთა ბილიკების აუცილებლობა ასახულია გზის დაგეგმარებასა და საბოლოო მოხაზულობასთან დაკავშირებულ პუნქტებში).
- მოძრაობის უსაფრთხოებისა და უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებელი ზომები.
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივი გზების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების, კომუნალური ნაგებობების და ა.შ. რეაბილიტაცია.
- გზის მახლობლად არსებული მიწების დროებით სამშენებლო მასალების დასასაწყობებლად გამოყენებით გამოწვეული ზემოქმედების (მაგ. სადრენაჟო და სანიღვრო პრობლემები) შემარბილებელი ზომები და სხვ.

ზემოთაღნიშნული დროებითი ზეგავლენებზე ზრუნვა შეადგენს სამოქალაქო სამუშაოს შემსრულებლის (კონტრაქტორის) პასუხისმგებლობის უპირველეს საგანს და იგი გარანტირებული უნდა იყოს სამოქალაქო სამუშაოების კონტრაქტში შესაბამისი პირობების ჩართვით და კონტრაქტორის თანხმობით ამ პირობებთან. ზემოთაღნიშნული, რაც წარმოადგენს განსახლების სამოქმედო გეგმის ნაწილს, სათანადოდ იქნება გაშუქებული ქვემოთ.

განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხს აგებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტი (ეგსგდ). კომპენსაციებისა და შემარბილებელი ზომების (აგრეთვე ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციების, პრობლემათა გამოვლენისა და შიდა სამონიტორინგო საქმიანობის ჩათვლით) ხარჯები შედის პროექტის ბიუჯეტში და განაწილდება ეგსგდ მიერ.

განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება ყოველ კონკრეტულ მონაკვეთზე მოხდება სამოქალაქო სამუშაოების დაწყებამდე.

1. შესავალი

1.1. ზოგადი დებულებები

განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადებულია მსოფლიო ბანკის არანებაყოფილობითი განსახლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტისა (OP 4.12) და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მინის შესყიდვისა და განსახლების კომპენსაციების შესახებ კანონებისა და დებულებების გათვალისწინებით. მასში განხილულია ზეგავლენები, საკომპენსაციო პოლიტიკა, კომპენსაციებისა და რეაბილიტაციის პირობები, ღირებულების შეფასებები და გსგ-ს განსახორციელებელი სტრატეგიები. აგრეთვე შემუშავებულია გსგ-ს განხორციელების გრაფიკი, რაც საშუალებას იძლევა, რომ სათანადო ყურადღება მიექცეს საქართველოს E-60 გზატკეცილის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის (55-80 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების ზემოქმედებას და შეარბილოს ეს ზეგავლენა.

განსახლების სამოქმედო გეგმა გარანტიას იძლევა, რომ მას შემდეგ, რაც განუვლი იქნება ყველანაირი ძალისხმევა გადაადგილებისა და განსახლების ეფექტის თავიდან ასაცილებლად და/ან მინიმუმირებისათვის, ის პირები და შინამეურნეობები, რომლებიც გარდაუვალად კარგავენ მინას ან ქონებას პროექტის განხორციელების შედეგად, მიიღებენ იმ ცხოვრების ტოლფას ან უკეთეს სტანდარტს, ვიდრე მათ გააჩნდათ პროექტის ამოქმედებამდე. გსგ-ში ჩართული ყოველი წინადადება, სტრატეგია, საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო ზომა ემსახურება ამ მიზანს. გზის მშენებლობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ხოლო მასთან არსებული გზათა დეპარტამენტი პასუხს აგებს აგრეთვე გსგ-ს განხორციელების კოორდინაციაზე.

განსახლების სამოქმედო გეგმა ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

- (I) პროექტთან და, განსაკუთრებით დამტკიცებულ გზის მონახაზთან დაკავშირებული ანგარიშებს, რომლებიც მიუთითებენ გზის უფლების მოთხოვნილებებსა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოებს და რომლებსაც უდასტურებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტი მსოფლიო ბანკს (განთავსებულია ინტერნეტსაიტზე – www.georoad.ge)
- (II) გზის შესაბამისი მონახაზის სავლელ აზომვებს, რომლებიც შეთანხმებულია ტექნიკურ კონსულტანტთან დეტალური დაგეგმარების ფაზაში
- (III) გზის ცენტრალური ხაზისა და გზის უფლების საზღვრების შეჯერებას საკადასტრო რუკებთან
- (IV) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების/შინამეურნეობების აღწერას
- (V) დეტალურ საინვენტარიზაციო გამოკვლევასა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნაკვეთებისა და აქტივების ინვენტარიზაციას
- (VI) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობების სოციოეკონომიკურ გამოკვლევას
- (VII) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწების, საკუთრების და სხვა აქტივების შეფასებას
- (VIII) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში ადგილობრივ ხელისუფლებას-

თან, სპეციალისტებთან და უშუალოდ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კონსულტაციებს

(IX) არსებული მიწის საკუთრების კანონიერი უფლებებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთების საკადასტრო დოკუმენტაციის გამოკვლევას.

გსგ მოიცავს დაახლოებით 25 კმ სიგრძის ორმხრივ, თითოეული მხარეს ორზოლიან, სავალი გზის, გზების გადაკვეთების, ხიდების, პარალელური სასოფლო გზებისა და შემოვლითი გზების მშენებლობასთან/რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ მიწის შესყიდვის, განსახლებისა და შემოსავლების რეაბილიტაციის ყველა ასპექტს. გსგ ეფუძნება გზის დადგენილ საბოლოო ნახაზში შემავალ ცენტრალური ხაზის კორექტივებსა და გზის უფლების შესაბამის მოთხოვნებს.

1.2. პროექტის აღწერა

საქართველო გეოგრაფიულად მოთავსებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის (კასპის და შავი ზღვები) და ჩრდილოეთ-სამხრეთის (რუსეთი და თურქეთი) სატრანზიტო მიმართულებების ცენტრში. მეზობელ სახელმწიფოებთან ვაჭრობა შეადგენს ეკონომიკის მნიშვნელოვან კომპონენტს, რაშიც ტრანსპორტი და კომუნიკაციები სასიცოცხლო როლს თამაშობენ.

საქართველოს მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაშია 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ძირითად პრიორიტეტად აქცია 1990 წლიდან მნიშვნელოვნად დაზიანებული სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურების აღდგენა. აცნობიერებს რა ამ ინფრასტრუქტურების როლს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მთავრობამ შეძლო საგრძნობლად გაეზარდა ინვესტირება ამ სფეროებში.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია. 2004 წელს შეადგენდა 8.4%, 2005 წელს-8.5%, ხოლო 2006 წელს დაახლოებით 8.8%. ზრდის გაცილებით მაღალი ტემპები შეიმჩნეოდა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების დარგებში.

სატრანსპორტო სექტორის წილი საქართველოს მშპ-ში შეადგენს 10%, ხოლო მისი ზრდის ტემპის შეფასებაა – 5,6%. საქმიანობის ინტენსიურობა გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურების ყველა სფეროში. განსაკუთრებით ეს ეხება სატრანსპორტო გადაზიდვებს. 2004 წელს საგზატკეცილო ტრანსპორტზე მოდიოდა მთლიანი სატვირთო გადაზიდვების 60%.

მთავრობის პოლიტიკის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს შეადგენს საქართველოს, როგორც სატრანსპორტო ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდა აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების სატრანსპორტო კორიდორის ფუნქციონირების გაუმჯობესების ხარჯზე. მთავრობას ესმის, რომ სატრანსპორტო კორიდორის პოტენციალური შესაძლებლობები სრულად არ არის რეალიზებული და გადანყვეტილი აქვს განახორციელოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მოდერნიზაცია.

საქართველოს ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის სტრატეგია 2006-2009 წლებში (ქმთს-ს ანგარიში 33295-GE) მოწონებული იქნა მსოფლიო ბანკის საბჭოს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს. ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის სტრატეგიის უმთავრესი მიზანია

ხელი შეუწყოს შემოსავლებისა და სამუშაო ადგილების ზრდას. აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების სატრანსპორტო კორიდორის მოდერნიზაციისათვის ხელშესაწყობად მთავრობამ მხარდაჭერისათვის მიმართა საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (სგა) და ამჟამად სგა-ს ოთხნობიანი US\$143-მილიონიანი პაკეტის გარდა გამოყოფილია დამატებით US\$60 მილიონი სატრანსპორტო კორიდორისათვის.

წინამდებარე პროექტი ნაწილია აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების სატრანსპორტო კორიდორის მოდერნიზაციის გეგმის და მიზნად ისახავს არსებული E-60 გზატკეცილის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის გადაქცევას სტანდარტულ ორ ცალმხრივ (თითოეული ორი-ორი ზოლით) გზად ცენტრალური რეზერვითა და შეღწევის სრული კონტროლით TEMM-ისა (Transport Establishment Mode and Measures) და ევროპული სტანდარტების შესაბამისად. გზის მონაკვეთი იწყება სოფ. ალაიანიდან და გრძელდება სოფ. სვენეთამდე (42+375კმ-დან 79+200კმ-მდე) და გადაკვეთს კასპისა და გორის რაიონებს. პროექტი დაყოფილია შემდეგი სქემის მიხედვით:

მონაკვეთი 1 – ალაიანი-იგოეთი 42+375კმ-დან 54+350კმ-მდე, მონაკვეთი 2 – იგოეთი-სვენეთი 54+350კმ-დან 79+200კმ-მდე

არსებული გზის ოთხზოლიანად გადაკეთება ჩაფიქრებული იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაგრამ წყალსადენი მილების გაყვანა, შემაკავებელი კედლებისა და ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებული გარკვეული სამუშაოები წამოწყებული იქნა მხოლოდ იგოეთის შემოვლით გზაზე. ეგსგდ განკარგავს მიწის ნაკვეთებს არსებული გზის ორივე მხარეს და, როგორც ჩანს მისი რეკონსტრუქცია (4-ზოლიანად გადაკეთება) შესაძლებელია სადღეისო გზის უფლების საფუძველზე. თუმცა იგოეთთან დაგეგმილი მოსავლელი გზა მოითხოვს ხრამზე და მდინარეზე გამავალი ახალი მონაკვეთის აშენებას.

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისგან (სგა) მიიღო გრანტი საქართველოს ინფრასტრუქტურის წინასაინვესტიციო მომსახურებისათვის, რომლის ნაწილი გამოყენებულ იქნა გარემოს დაცვის შეფასების, გარემოს დაცვის მენეჯმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის (იგოეთსა და სვენეთს შორის E-60 გზატკეცილის მონაკვეთის გასაფართოებლად, მოსავლელი გზის ჩათვლით) მოსამზადებლად.

პროექტი იმყოფება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ და ხორციელდება ამ სამინისტროს გზათა დეპარტამენტის მიერ. პროექტის განხორციელების საორგანიზაციო ერთეულის მეშვეობით. ეს უკანასკნელი შექმნილია ჯერ კიდევ ადრე მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული წინა პროექტების განსახორციელებლად. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტი კონსულტანტების ძირითადი პარტნიორია.


1.3. გზის საპროექტო მონაკვეთის აღწერა

E-60 გზატკეცილის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი იმ გზის ნაწილია, რომელიც იწყება აღმოსავლეთით აზერბაიჯანის საზღვრიდან (ე.წ. წითელ ხიდთან) და მთავრდება რუსეთის საზღვარზე, ლესელიძეში. იგი აგრეთვე შეადგენს საერთაშორისო ტრანსკავკასიური მაგისტრალის ნაწილს, რომელიც აკავშირებს ცენტრალურ აზიას კასპის და შავი ზღვების გავლით ევროპასთან.

აღმოსავლეთ-დასავლეთის საგზაო კორიდორის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთი განლა-

გებულია ქვეყნის ცენტრალურ რაიონში და მიემართება თბილისიდან დასავლეთისაკენ ქ. გორამდე. იგი მიუყვება საშუალო სიმაღლის ზეგანს (დაახლ. 500-600მ ზღვის დონიდან) ორი რაიონის (კასპი, გორი) გავლით. ძირითადი ტრასა სიმაღლეების უმნიშვნელო ცვალებადობას განიცდის.

მონაკვეთი იწყება იგოეთთან კმ54+350, სადაც დაგეგმილია დაახლოებით 4-კილომეტრიანი შემოვლით გზის მშენებლობა - მჭიდროდ დასახლებული ადგილების ასარიდებლად (ამ გზის მშენებლობა დაწყებულია 80-იან წლებში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, მაგრამ შემდგომში შეწყვეტილია და დღემდე დაუმთავრებელია). შემოვლითი გზის ბოლოდან ეს მონაკვეთი გრძელდება კიდევ დაახლოებით 20 კმ მანძილზე და მთავრდება ქ. გორის მისასვლელთან კმ79+200. მთელი მონაკვეთი დაახლოებით 24+600კმ სიგრძისაა. პროექტის განხორციელების სივრცის რუქა იხ. ქვემოთ (ნახ. 1).



ნახ. 1. პროექტის განხორციელების არეალის რუქა

ამ მონაკვეთისათვის ჩასატარებელ სამუშაოთა ფარგლებში შედის არსებული ორზოლიანი გზის გადაქცევა სტანდარტულ ორმხრივ, თითოეულ მხარეს ორზოლიან სავალ გზად, პარალელური სასოფლო გზების, შემოვლითი გზებისა და გასასვლელების მშენებლობა, სადრენაჟო სისტემის სრულყოფა და წყალსადენი მილების დამონტაჟება, გზის მიღმა მომსახურების ზონების შექმნა, საგზაო აღჭურვილობისა და ნიშნების დამონტაჟება და გზის მარკირება მოძრაობის უსაფრთხოებისათვის, საკონტროლო ხელსაწყოების მონტაჟი და სხვ. ამ მონაკვეთის ზოგიერთი სეგმენტისათვის სასურველია გაუმჯობესდეს გზის სიმრუდის რადიუსი, რათა მისი მახასიათებლები შესაბამისობაში მოვიდეს სიჩქარის საპროექტო ზღვრულ მნიშვნელობებთან. ამ სახის ცვლილებები მოითხოვს გზის არსებული მოხაზულობის კორექტირებას, რისთვისაც საბოლოოდ საჭირო გახდება დამატებითი

მინების შექმნა გზის საფარისა და გზისპირების კონსტრუქციისათვის, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროექტის ზემოქმედების დონეს.

ამ მონაკვეთის აღდგენა და რეკონსტრუქცია მიმართულია ზემოთაღნიშნული რაიონების (გორის, კასპისა) და უშუალოდ გზის მიმდებარე ტერიტორიის სოციოეკონომიკური განვითარების დაჩქარებისაკენ. იგი გამოიწვევს მოძრაობის ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას, უბედური შემთხვევების რაოდენობის კლებას და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღარიბთათვის. ეს საბოლოოდ გაზრდის დასაქმებულობის დონეს და მიღწევადს გახდის ბაზრებსა და სოციალურ მომსახურებას.

1.4. ძირითადი ზეგავლენების კრებსი

პროექტის განხორციელება გამოიწვევს, როგორც მუდმივმოქმედ, ასევე დროებით გარდაუვალ ეფექტებს, ვინაიდან დაკავშირებულია გზის უფლების მოპოვებასთან. ძირითადი შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მიწის შესყიდვასა და როგორც კერძო, ასევე კომუნალური სტრუქტურების, ქონებისა და აქტივების დემონტაჟს, შემდეგია:

- მიწის, საკუთრებისა და სხვა აქტივების დაკარგვა
- ადამიანების მოსალოდნელი გადაადგილება მათი საცხოვრებელი ადგილებიდან
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შედეგად შემოსავლის დონის შემცირება ან მთლიანად დაკარგვა
- ძირითად სამსახურებთან და მომსახურებებთან მიღწევადობის შეზღუდვა
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დონის დაქვეითების პოტენციური საფრთხე
- თემის ცხოვრების წესის შესაძლო მოშლა
- ისტორიული და კულტურული ფასეულობების შესაძლო დაზიანება

1.5. მიწის შესყიდვა და განსახლების მიზნები

ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვის პრობლემები ხშირად მიძიმდება განვითარების პროექტების მიერ გამოწვეული ადამიანების არანებაყოფილობითი, წინასწარგანუზრახველი გადაადგილებისას. გადაადგილება ხშირად მთავრდება სანარმოო სისტემის მოშლით, რასაც თან სდევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და შინამეურნეობების აქტივებისა და შემოსავლების დაკარგვა. ადგილნაცვალ ადამიანები ხვდებიან უცხო გარემოში სათანადო მომზადების გარეშე და მიმღები სივრცის მიერ მათი ადაპტაციის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგები. ხშირად სოციალური და თემობრივი სისტემა ისეთ დანოლას განიცდის, რომ ხდება მონათესავე ჯგუფების დაქსაქსვა, ტრადიციული ღირებულებების რღვევა და კულტურული თვითცნობადობის დაკარგვა, რაც ხშირად იწვევს კონფლიქტებს, სოციალური იდენტურობისა და ფუნქციის დაკარგვას. იგოეთი-სვენეთის სარეაბილიტაციო პროექტისათვის ზემოდაღნიშნული მიძიმე ეფექტები მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან გზის რეაბილიტაცია მოხდება არსებული გზის უფლების მქონე და სარეზერვო ნაკვეთებში. მაგრამ მცირე ნაკვეთების ჩამორთმევისა და სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ განლაგებული კომერციული სტრუქტურების დემონტაჟი მაინც მოითხოვს შეფასებას ისეთი

შემარბილებელი ზომების მისაღებად, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებს შეუნარჩუნებს ან გაუუმჯობესებს ცხოვრების პირობებს.

მოცემული პროექტის გსგ-ს უპირველესი მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს უარყოფითი ზეგავლენები და უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულთათვის გაატაროს შემარბილებელი ზომები კომპენსაციის გაცემისა და სარეაბილიტაციო დახმარების სახით, რაც თავის წვლილს შეიტანს მათი ცხოვრების სტანდარტის ამაღლებაში.

განსახლების სამოქმედო გეგმის მიზანია;

- (I) წარმოადგინოს სტრატეგია განსახლების პოლიტიკის ჩარჩოებში დასახული მიზნების მისაღწევად
- (II) დასახოს მიღებული სტრატეგიების განხორციელების გეგმა, რათა დროულად იყოს შეძენილი აქტივები, გაცემული კომპენსაციები და სხვა შეღავათები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებზე
- (III) უზრუნველყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის/ოჯახებისათვის შემოსავლების დონისა და ცხოვრების სტანდარტის შენარჩუნება ან ამაღლება იმასთან შედარებით, რაც გააჩნდათ პროექტის დაწყებამდე
- (IV) განსაზღვროს საზოგადოებრივი კონსულტაციებისა და საინფორმაციო კამპანიის პრინციპები და მექანიზმები
- (V) შეაფასოს რეკომენდირებული ინტერვენციების განსახორციელებლად საჭირო წყაროები
- (VI) წარმოადგინოს გსგ-ს რეალიზაციის მონიტორინგისა და ზედამხედველობის გეგმა.

1.6. ზეგავლენების მინიმიზაციისათვის გათვალისწინებული ალტერნატივები

ზეგავლენების შესამცირებლად გამოყენებულ იქნა რამოდენიმე მიდგომა. ესენია:

- (I) გზის მოხაზულობის სხვადასხვა ვარიანტის შესწავლა და მათგან უმცირესი ზემოქმედების მქონეს ამორჩევა
- (II) გზის გადასაჭრელი მონაკვეთის ისეთი დაგეგმარება, რომ გაადვილდეს და გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შეღწევა
- (III) პარალელური ლოკალური გზების გაყვანა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს გზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებთათვის გადაკვეთის პუნქტებთან მისასვლელი გზები
- (IV) სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების ისეთი ვარიანტის არჩევა, რომლისთვისაც გზის უფლების მოთხოვნილებები მინიმალურია
- (V) დაგეგმარების დამატებითი გამოკვლევა ზემოქმედების ადგილებში გზის მოხაზულობის დაზუსტების ხარჯზე ზემოქმედების შესამცირებლად
- (VI) საკადასტრო რუქებისა და ზედდებული გზის ნახაზის გამოყენება მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ნაგებობებსა და საკუთრებაზე მინიმალური გავლენის გან-

სასაზღვრად

(VII) შემოვლითი გზის მშენებლობის შეთავაზება მჭიდროდ დასახლებულ ადგილებისა-
გან გასარიდებლად

1.7. გარდაუვალი ზეგავლენები

გარდაუვალი ზეგავლენები მოიცავს გარკვეული მიწის ნაკვეთების შესყიდვას გზატკე-
ცილის ნაპირებზე, რათა არ დაირღვეს დაგეგმარების ტექნიკური მთლიანობა, რომელიც
ითვალისწინებს გზის საფარისა და გზისპირის სტანდარტულ სიგანეს, მიწაყრილის სტან-
დარტულ სიმაღლეს, გზის სიმრუდის მინიმალურ დასაშვებ რადიუსსა და სხვ. გარდა ამი-
სა, საჭირო გახდება ამჟამად არსებული ორზოლიანი გზის ნაპირას განლაგებული კომერ-
ციული სტრუქტურების აღება და გადაადგილება, გზის სარეზერვო სივრცე, რომელიც
მათ აქვთ დაკავებული, უნდა გამოყენებული იქნას გზის გასაფართოებლად. ამის გარდა,
სოციალური და გარემოზე ზეგავლენები, ისევე როგორც მშენებლობის პერიოდში სამო-
ქალაქო სამუშაოებით გამოწვეული დროებითი ზეგავლენები შეიძლება გარდაუვალი იყოს
და უნდა გატარდეს ზომები მათ შესარბილებლად. თავისი მხრივ, ამ ზომების განსაზღვრა
გსგ-ს ნაწილია.

2. პროექტის არეალის სოციალ-ეკონომიკური ფონი

2.1. ეროვნული კონტექსტი

საქართველო იმყოფება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ყველაზე დაბალშემოსავლიან ქვეყნების რიცხვში. 1990-იან წლებში მან განიცადა მძიმე ეკონომიკური ვარდნა, რასაც მოყვა სოციალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის მძაფრი გაუარესება და სიღარიბის მკვეთრი ზრდა. ამჟამად დღის წესრიგში დგას ეფექტური რეფორმები და ინსტიტუციონალური ცვლილებები, რაც მოითხოვს სახელმწიფოს როლის გადააზრებას ეკონომიკური განვითარების პროცესების მხარდაჭერის კუთხით. უახლოესი მეზობლის, აზერბაიჯანის მსგავსად, საქართველოს პრობლემებს აღრმავებს ლოკალური კონფლიქტები ორ რეგიონში.

მიმდინარე ათწლეულში, საქართველოს ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა უშუალო ზეგავლენას ახდენდა სოციალურ და ეკონომიკურ პირობებზე საქართველოს რეგიონებში, სახელდობრ იმ ზონაში, რომელიც ექცევა აღმოსავლეთ- დასავლეთის ავტომაგისტრალის გოეთ-სვენეთის მონაკვეთის სარეაბილიტაციო პროექტის ზემოქმედების ქვეშ.

1996 წლიდან 2005 წლამდე საქართველოს ეკონომიკური ზრდა შეადგენდა საშუალოდ 6%. ზრდის ტემპი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არა მშპ-ს მძაფრი ვარდნა 1998-2002 წლებში. 1993-1994 წლების კრიზისის შემდეგ ინფლაციის უმაღლესი დონე აღინიშნა 1998 წელს, თუმცა მას შემდეგ რაც მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები, ინფლაციის ტემპი დაუბრუნდა უწინდელ დონეს. შესაბამისად, ინფლაციის საშუალო დონე უკანასკნელი ათწლეულში მერყეობდა საშუალოდ 7%-ის ფარგლებში. საგარეო ვაჭრობის მიმართ გახსნილობის ინდექსმა (ფიქსირებულ ფასებში იმპორტისა და ექსპორტის ჯამის შეფარდება მშპ-თან) და ფინანსური განვითარების მაჩვენებელმა (M-2 ფულის აგრეგატის შეფარდება მთლიან ეროვნულ პროდუქტთან), რომელთა ზრდა წინა ათწლეულში ძირითადად განპირობებული იყო სახელმწიფო სექტორის წვლილით. მშპ-ს ზრდა დაიწყო მხოლოდ 2004 წელს მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა 8-11%-ის ნიშნულზე. ვალუტის კურსის მძაფრ ცვლილებებს მოყვა შედარებით სტაბილური პერიოდი, რომელიც გრძელდება დღემდე. ამ პერიოდის განმავლობაში არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები კრედიტზე მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ბიზნეს-გარემო მაღალრისკიანია.

უკანასკნელ წლებში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო ინფრასტრუქტურული დარგებით: მშენებლობა – 25%, კომუნიკაციები – 16%, ტრანსპორტი – 16%, საშუალო საქმიანობა – 10%, ვაჭრობა – 7%. თუმცა იმავე პერიოდის განმავლობაში მრეწველობის ზრდის ტემპი შეადგენდა 4%, ხოლო სოფლის მეურნეობისა – მხოლოდ 2%. მსგავსად ამისა, დაბალი იყო ზრდის ტემპები შემდეგ დარგებში: მუნიციპალური მომსახურება – 4%, ჯანმრთელობის დაცვა – 2%, განათლება – 2%. თითქმის არანაირი ზრდა არ შეინიშნებოდა სახელმწიფო მომსახურების სფეროში. ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკა იმპორტზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული რჩება. ამჟამად ძირითადი ტენდენციისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო მოხმარების ზრდა. სახელმწიფო სექტორში განსაკუთრებული ზრდის ტემპი ძირითადად დაკავშირებულია სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებთან. ამ ათწლეულის განმავლობაში ჩატარდა ინტენსიური სამუშაო გზების რეაბილიტაციასა და მშენებლობაში, მაგრამ იმავე პერიოდში თითქმის არანაირი ინვესტიცია არ ჩადებულა სოფლის მეურნეობაში. რაც შეეხება მრეწვე-

ლობას, იგი ჯერ-ჯერობით ვითარდება დაუტვირთავი სიმძლავრეების ამოქმედებისა და მცირედი პირდაპირი ინვესტიციების ხარჯზე. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საგარეო ვაჭრობის დეფიციტი შეადგენდა დაახლოებით 1 მილიარდ ლარს (1996 წლის ფასებში) და რეალურად რჩება იმავე დონეზე მიუხედავად ექსპორტის ზრდის ოპტიმისტური პროგნოზისა.

შრომის ნაყოფიერება სხვადასხვა სექტორში მკვეთრად განსხვავებულია. გასული ათწლეულის განმავლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის უმაღლესი ტემპები აღინიშნებოდა სამშენებლო, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სექტორებში, მაგრამ შრომის ნაყოფიერების არავითარი ზრდა არ აღნიშნულა სოფლის მეურნეობაში.

საქართველოს სტატისტიკური სამმართველო 1996 წლიდან აქვეყნებს უთანაბრობისა და სიღარიბის მაჩვენებლებს. სიღარიბის მაჩვენებელი დამოკიდებულია აბსოლუტურ და ფარდობითი სიღარიბის ზღვარზე. აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი ეფუძნება ზრდასრული ადამიანის მოხმარების კალათას. ფარდობითი სიღარიბის ზღვარი ემყარება მედიანური მოხმარების 40% და 60%-ს. 2004 წელს აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი ოფიციალურად დღეში შეადგენდა \$2,5.

სიღარიბის სამი ინდექსი: სიღარიბის დონე, სიღარიბის სიღრმე და სიღარიბის სიმწვავე გამოითვლება აბსოლუტური და შედარებითი სიღარიბის ზღვრების საფუძველზე. ამ ინდექსების დინამიკა 1997-2004 წლებში ხასიათდებოდა სუსტი რხევებით ზრდადი ნრფივი ტრენდის გასწვრივ, რაც მნიშვნელოვანწილად მიუთითებს მასზე, რომ მიუხედავად გარკვეული ეკონომიკური ზრდისა, რომელიც აღინიშნებოდა საქართველოში გასული ათწლეულის განმავლობაში, სიღარიბის დონე, სიღარიბის სიღრმე და სიღარიბის სიმწვავე იზრდებოდა. შესაბამისად, შეფასებების თანახმად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში შინამეურნეობების შემოსავლებმა და ხარჯებმა მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილება განიცადა. კერძოდ, რეალური საშუალო ხარჯები საკვებზე, ტანსაცმელსა და საოჯახო მოხმარების საგნებზე ისევე, როგორც მთლიანობაში, საგრძნობლად შემცირდა. ამავე დროს გაიზარდა შინამეურნეობების ხარჯები ენერგომოხმარებაზე, ჯანდაცვასა და ტრანსპორტზე.

1990-იანი წლები ხასიათდებოდა სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი ზრდით და შობადობის დონის მკვეთრი დაცემით, რაც დღემდე თვალშისაცემია. ამ ფონზე ახალშობილთა სიკვდილიანობის დონე შემაფოთებლად მაღალია. 2000 წლიდან დაწყებული ახალშობილთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი შეადგენს 25-ს ყოველ 1000 ახალშობილზე.

2003 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სიკვდილიანობის მიზეზებია: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი - 687,5 შემთხვევა ყოველ 100.000 სულზე, კიბოვანი დაავადებანი — 131,2, მომწიფებელი სისტემის დაავადებანი — 51,4, სასუნთქი გზების დაავადებანი — 37,6, ქროლოზები, მონამვლა და გარე ფაქტორებით გამოწვეული შედეგები — 28,8.

მიგრაციის ტემპების ზრდა აღინიშნებოდა 1990-იანი წლების დასაწყისიდან, მაგრამ ახლა იგი სტაბილური გახდა და მოსალოდნელია, რომ მიაღწევს ბუნებრივ დონეს. 2002 წლის მონაცემების მიხედვით მიგრანტების 78,4%-მა საქართველო დატოვეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, 6,7% - განათლების მისაღებად, 1,2% - თავშესაფრის მოსაპოვებლად. ამ მიგრანტების დაახლოებით 41,1% ეხმარება თავის ოჯახს, ხოლო 7,1%

- თვითონ იღებს დახმარებას საქართველოში დარჩენილი ოჯახისაგან.

1990-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, სამოქალაქო ომმა და ლოკალურმა კონფლიქტებმა გამოიწვია სახელმწიფო სისტემის, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სისტემების მოშლა, რასაც შედეგად მოყვა მთელი მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების მწვავე გაუარესება, რაც კერძოდ თავს იჩენს წინამდებარე პროექტით მოცულ არეალში.

2.2. ადგილობრივი კონტექსტი

პროექტით მოცული ზონა შედგება შვიდი საკრებულოსაგან (სახელმწიფო სტრუქტურის უმდაბლესი დონე ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის), რომლებიც ეკუთვნის ორ რაიონს (გორისა და კასპის). ზემოდაღნიშნული თემების ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობა სოფლის მეურნეობას (კერძო ფერმებს) და მცირე და საშუალო არასასოფლო-სამეურნეო სანარმოებს.

შვიდ საკრებულოში შემავალი სოფლების მთლიანი რაოდენობიდან 39 ესაზღვრება დასაპროექტებელ გზას. მოსახლეობა ამ ადგილებში არ გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით — იგი ძირითადად შედგება ქართველებისა და ოსებისგან.

პროექტის ზემოქმედების რეგიონის სოფლების დემოგრაფიულ ვითარებას ახასიათებს მოსახლეობის სწრაფი დაბერება და ინტენსიური ქვეყნისმიდა მიგრაცია. 1996 და 2003 წლებში აღმისავლეთ საქართველოში ჩატარებული სპეციალური გამოკვლევების შედეგების შედარება აჩვენებს, რომ ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება მთელ მოსახლეობასთან გაიზარდა 6%-ით მაშინ, როდესაც საშუალო ასაკი გაიზარდა 2 წლით. უფრო მეტიც, 70 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი გაორმაგდა და 2003 წელს 8%-ს მიაღწია.

განათლების დონე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სქესის მიხედვით. მეორე მხრივ იგი განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: ხანდაზმულთა შორის 9,2%-ს გააჩნია უმაღლესი განათლება, 15,8% - საშუალო სპეციალური განათლება, ხოლო 74,9% - საშუალო და დაწყებითი განათლება. ამავე დროს საშუალო ასაკის მოსახლეობაში შესაბამისი მონაცემები შემდეგია: 23,5% უმაღლესი განათლებით, 27% - საშუალო სპეციალური განათლებით, ხოლო 49,5% - საშუალო და დაწყებითი განათლებით. ამასთანავე ნიშანდობლივია, რომ 1996 წლის მონაცემების მიხედვით საშუალო ასაკის მოსახლეობის 35,2%-ს გააჩნდა უმაღლესი განათლება. ეს შეიძლება აიხსნას შიდა მიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციით, რაც გამომწვეულია სოფლად მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობებით – მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს არ ეძლევათ საშუალება, გამოიყენონ თავიანთი ცოდნა სოფლად და იძულებული ხდებიან მიაშურონ ქალაქს სამუშაოს საძებნად.

15 წლამდე ასაკის ოჯახის წევრები როგორც წესი, არ მუშაობენ. ყოველ შინამეურნეობაში საშუალოდ 3,2 წევრი არის გადაცილებული 15 წლის ასაკს. ამ ასაკს გადაცილებული ოჯახის წევრები დროის 46%-ს უთმობენ მუშაობას საკუთარ მეურნეობაში, 30% - საოჯახო საქმიანობაზე, 2%- არასასოფლო-სამეურნეო საოჯახო ბიზნესზე, 2%- დასაქმებას სხვის ფერმებში, 10% - დასაქმებას არასასოფლო-სამეურნეო სფეროში, დროის 5% ეთმობა განათლებას, ხოლო კიდევ 5%-დასვენებას.

გორისა და კასპის რაიონები საჭიროებს სოციალურ ინფრასტრუქტურისა და საბაზო

მომსახურების მნიშვნელოვან მოდერნიზაციას. მთავრობის მიერ მიღებულ სოციალური დაცვის ზომებს ჯერ არ გამოუღიათ მნიშვნელოვანი შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ პენსიების დარიგება და სხვადასხვა სახის კმაყოფით უზრუნველყოფა, ინვალიდობის, დედობის, ვეტერანთა დახმარება და ა.შ. მეტნაკლებად გაუმჯობესდა, ასეთი სახის დახმარება უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ვიდრე არსებით გავლენას ახდენს სიღარიბეზე.


გარკვეული სახის ფულად და სხვა დახმარებებს წამლებსა და სამედიცინო მომსახურებაზე, სანავაზე, სამშენებლო მასალებზე, სასუქსა და სხვა პროდუქციაზე გაზრდილი ფასების საკომპენსაციოდ, არ გააჩნია მუდმივი ხასიათი. ისინი ხელმისაწვდომია მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილისათვის და, ჩვეულებრივ დაკავშირებულია არჩევნებსა და სხვა PR-კამპანიებთან. ასე რომ, სოციალური დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის აღება შინამეურნეობათა შრომისუნარიან წევრებს უწევთ თავიანთი მწირი შესაძლებლობების ფარგლებში.

აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული სპეციალური გამოკითხვებისა და მოპოვებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროექტთან შეხებაში მყოფი შინამეურნეობები ხასიათდებიან მნიშვნელოვანი (თუმცა ნაკლები, ვიდრე ურბანულ არეში) უთანაბრობით შემოსავლების თვალსაზრისით. თუ გამოვიყენებთ ჯინის ინდექსს უთანაბრობის ხარისხობრივი დახასიათებისათვის მთლიანი შემოსავლის მიხედვით, მივიღებთ, რომ არსებული მონაცემების საფუძველზე პროექტით მოცული ზონისათვის იგი უნდა შეადგენდეს 0,46. ჯინის ინდექსის ეს მნიშვნელობა საკმაოდ მაღალია. ზემოთაღნიშნული სპეციალური გამოკითხვების საშუალებით მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასოფლო-სამეურნეო შემოსავლების აბსოლუტური წილი მთლიან უთანაბრობაში შეადგენს 0,362 (ანუ 79%), ხოლო არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლებისა — 0,096 (21%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობა სასიცოცხლო როლს თამაშობს სოფლის ეკონომიკაში.


2.3. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციოეკონომიკური პროფილი

დემოგრაფიული პროფილი

სოციალურ-ეკონომიკურმა გამოკითხვამ მოიცვა პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუდმივად მცხოვრები ყველა შინამეურნეობა. აღნიშნულ შინამეურნეობის საშუალო ზომაა - 3,8 სული. გამოკითხულთა 14% ოსია, დანარჩენები კი ქართველები. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობას, რომელთა ნაკვეთები უშუალოდ განიცდიან პროექტის ზემოქმედებას, გააჩნია სპეციფიური ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა: გამოკითხულ შინამეურნეობათა ნევრების 52% მამაკაცია, ხოლო 48% -ქალი; ქალთა საშუალო ასაკია 41,2 წელი, ხოლო მამაკაცთა 34,5 წელი. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მოცემულია ნახ. 2 და ნახ. 3-ზე.



ნახ.2. მაშასადამე ასაკობრივი განაწილება პროექტის ზემოქმედების არეალში



ნახ.3. ქალთა ასაკობრივი განაწილება პროექტის ზემოქმედების არეალში

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობები მკვიდრი მცხოვრებნი არიან – მათი დაახლოებით 80% ათ წელზე მეტ ხანს ფლობს იმ მიწას რომელზეც ამჟამად ცხოვრობს/ამუშავებს (ნაკვეთის ფლობის საშუალო ხანგრძლივობა 25,6 წელია). ამასთანავე, ისინი ვინც ათ წელზე ნაკლებს ცხოვრობენ მოცემულ ადგილას, როგორც წესი მახლობელი სოფლებიდან არიან გადმოსულები (გადმოსვლის ძირითადი მიზეზი — ოჯახური გა-


რემოცებია).

სახლ-კარი

გამოკითხული შინამეურნეობების 95% განაცხადა, რომ მათი საცხოვრისი, ხოლო 85% - რომ მათი საკარმიდამო ნაკვეთი საკუთარია (5% -საცხოვრისის შემთხვევაში და 15% - საკარმიდამო ნაკვეთის შემთხვევაში თავი აარიდა პასუხს).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა სახლების 77% ნაშენებია ცემენტის ბლოკით და ხის მასალით, 18% ქვის მასალით და/ან ხით, 5% ცემენტის ბლოკით. კარმიდამოთა 90% აქვს ღობე, მათ 74%-ში არის შინაური ფრინველების/ცხოველების სადგომი, 5%-ში — სასაწყობო ნაგებობა, ხოლო 1%-ში განლაგებულია აგრეთვე კომერციული დანიშნულების ნაგებობა.

სხვა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საშუალებათა ფლობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა მიერ ასახულია ნახ. 4



ნახ.4 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საშუალებანი

გარდა მიწისა და საცხოვრისისა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობებს აგრეთვე გააჩნიათ შინაური ცხოველები. შინამეურნეობათა 61% ყავს მსხვილფეხა საქონელი (საშუალოდ 2,3 სული მფლობელ შინამეურნეობაზე), 33% - ღორი (საშუალოდ 1,4 სული მფლობელ შინამეურნეობაზე), 11% - ცხვარი/თხა (საშუალოდ 7,7 სული მფლობელ შინამეურნეობაზე), 51% - შინაური ფრინველი (საშუალოდ 13,8 სული მფლობელ შინამეურნეობაზე), 7% - სხვა (ბოცვერი, ფუტკარი).

შემოსავლები და ხარჯები


თავისი შემოსავლების ძირითად წყაროდ ასახელებს : შემოსავლებს თვითდასაქმებით ს-ს სფეროში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობების 69%; პენსიებს, სახელმწიფო დახმარებებსა და შემნებებს — 35%, შემოსავლებს თვითდასაქმებით არა

ს-ს სფეროში — 7%, ხელფასს დასაქმებიდან- 4%.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობებს საშუალოდ ყავთ 1.65 ძირითადად დასაქმებული წევრი. შინამეურნეობის დასაქმებული წევრის საშუალო შემოსავალია 124,3 ლარი/თვეში, ხოლო მთლიანად შინამეურნეობისა — საშუალოდ 205,2 ლარი/თვეში.


გარდა ზემოთდასახელებულისა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 32% იღებს დამატებით შემოსავლებს სხვადასხვა წყაროებიდან. ამ დამატებით შემოსავლებს აქვთ შემდეგი სტრუქტურა (ლარი/თვეში დამატებითი შემოსავლების მიმღებ შინამეურნეობაზე): სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა — 45, არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა - 4, პენსიები და სახელმწიფო დახმარებები — 30, დახმარება ახლობლებისაგან — 7.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა ერთ სულზე საშუალო შემოსავალი შეადგენს 65,4 ლარს/თვეში. შემოსავლების მიხედვით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა განაწილება მოცემულია ნახ. 5.



ნახ. 5 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა განაწილება ერთ სულზე შემოსავლების მიხედვით (ვერტიკალური ღერძი - სიხშირე; ჰორიზონტალური ღერძი - შემოსავალი ერთ სულზე ლარს/თვეში)

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა ერთ სულზე საშუალო ხარჯები შეადგენს 56,1 ლარს/თვეში, ხოლო საშუალო შინამეურნეობის ხარჯები თვეში 195,7 ლარს. შინამეურნეობათა ხარჯების სტრუქტურა მოცემულია ნახ.6-ზე



ნახ.6. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა ხარჯების სტრუქტურა

საბაზო მომსახურება

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობების 55% ნაგვის უტილიზაციას ახდენს დაწვით, მათ 67% არ გააჩნია კავშირგაბმულობის საშუალებები, 76% სასმელი წყლით მარაგდება წყალგაყვანილობისა ან საკუთარი ჭის მეშვეობით.

საჭიროების შემთხვევაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა ჩვეულებრივ მიმართავს რაიონულ საავადმყოფოს 99% ან ადგილობრივ ამბულატორიას 44%. შინამეურნეობათა 31%-თვის ხელმისაწვდომია კერძო ექიმი ან კლინიკა.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 43%-ის ბავშვები (სულ 60 ბავშვი) დადან სკოლებში, რომელთა საშუალო დაშორება სახლიდან დაახლოებით 2კმ-ია.


პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 59% იყენებს საძოვრებს და მათი 82%-ის შინაურ ცხოველებს უწევს ავტომაგისტრალის გადაკვეთა.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 47%-თვის ხელმისაწვდომია კრედიტი. კრედიტის აღების ძირითად წყაროდ შინამეურნეობები მიიჩნევენ ბანკს. ამ შინამეურნეობათა 88%-ს კრედიტი ჭირდება სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისათვის, 6%-ს კომერციული საქმიანობისთვის, ხოლო 4%-ბავშვების განათლებისთვის.

გამოკითხულები ვერ ასახელებენ ვერცერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ან კოოპერატივს, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ საკრებულოებში.


სიღარიბის აღქმა

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 63% აცხადებს, რომ მათ არ გააჩნიათ შემოსავლის რეგულარული წყაროები; 6% – არ იკვებება რეგულარულად; 1%- არ გააჩნია გათბობის შესაძლებლობა. ამასთანავე, შინამეურნეობათა 3% - არ მიიჩნევს თავს გაჭირვებულად. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 26%-მა თავი აარიდა თავისი მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას.




■ ინჟერა
■ ნაბავსაყრელზე
■ იფლოვა
■ დასუფთავების სამსახური
■ სხვა

A. ნაგვის უტილიზაცია




■ არ გააჩნია
■ ტელეფონის საზი
■ მოკილური ტელეფონი

C. კავშირბაზმულობა



B. სასმელი წყლით მომარაგება



D. ენერგომომარაგება

ნახ.7 საბაზო მომსახურება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობებისთვის

დამოკიდებულება პროექტისადმი და მოლოდინები

გამოკითხვის მომენტისთვის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 94% ინფორმირებული იყო E-60 ავტომაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტის შესახებ. მათ 57%-ს ინფორმაცია მიღებული ქონდა პროექტის წარმომადგენლებისაგან, 62%-ს – ადგილობრივი ხელისუფლებისგან, 59%-ს — მეზობლებისაგან, 57%-ს — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობათა 94% მიიჩნევს, რომ E-60 ავტომაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტი — საჭირო პროექტია და საჭიროების შემთხვევაში დათმობდნენ იმ ადგილს სადაც ცხოვრობენ ან ეწევიან სამეურნეო საქმიანობას პროექტის საჭიროებებისთვის. პროექტის საჭიროებებისთვის ნაკვეთის დათმობის აუცილებლობის შემთხვევაში შინამეურნეობათა 97% კომპენსაციის სასურველ ფორმად მიიჩნევს — ფულადად კომპენსაციას.

ფულადი კომპენსაცია პრიორიტეტული ფორმა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობებისთვის აგრეთვე კუთვნილი ნაგებობების, ნარგავებისა და ხეების, მოსავლის დაზიანებისა და კომერციული საქმიანობის შეფერხების შემთხვევაში. ამასთანავე,

არსებობის წყაროებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემთხვევაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობები დახმარების სასურველ ფორმად მიიჩნევენ — პირველ რიგში: 68% -ფულად კომპენსაციას (დანარჩენი ვერ პასუხობს), მეორე რიგში: 31% – დამატებით მიწის გამოყოფა (დანარჩენი ვერ პასუხობს).

სოციალურად დაუცველი შინამეურნეობები

სოციალურად დაუცველი შინამეურნეობების გამოვლენა ხორციელდებოდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შინამეურნეობათა სოციალურ-ეკონომიკური გამოკითხვის მონაცემების საფუძველზე შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

სურსათის ნაკლებობისგან დაუცველობის კრიტერიუმები

- **კრიტერიუმი1:** შინამეურნეობები, რომლებსაც ყავთ 2 ან მეტი 15 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვი;
- **კრიტერიუმი2** შინამეურნეობები, რომლებიც აცხადებენ რომ არ იკვებებიან რეგულარულად

სიღარიბისგან დაუცველობის კრიტერიუმები

- **კრიტერიუმი3** შინამეურნეობები, რომელთა შემოსავლის ძირითადი წყაროა ტრანსფერტები
- **კრიტერიუმი4:** შინამეურნეობები, რომლებიც აცხადებენ რომ არ გააჩნიათ საკმარისი ფული ტანსაცმლისა ან გათბობისთვის

ასაკობრივი და გენდერული კრიტერიუმები

- **კრიტერიუმი5:** შინამეურნეობები, შემდგარი არაუმეტეს ორი სულისგან რომელთაგან თვითოეულის ასაკი აღემატება 70 წელს;
- **კრიტერიუმინ** შინამეურნეობები, რომელთა უფროსი ქალია.

ამ კრიტერიუმებით გამოვლინდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი 73 სოციალურად დაუცველი შინამეურნეობა (იხ. დანართი 7).

3. მიწის შესყიდვის მასშტაბები და განსახლება

3.1. ზეგავლენის შეფასება: მიდგომა და მეთოდები

მრავალი მიდგომა და მეთოდი იქნა გამოყენებული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების დასადგენად და მათზე პროექტის ზემოქმედების მასშტაბის განსასაზღვრად და შესაფასებლად.

(i) მიწის შესყიდვის ჩარჩოების განსაზღვრა

მიწის საკადასტრო მონაცემები არსებული გზის მოსაზღვრე ნაკვეთებისა და იმ ნაკვეთებისა, რომელზეც გაივლის გზის სავარაუდო მონახაზი (Bonifika-ს მიერ შემოთავაზებული, წარდგენილი და დამტკიცებული ალტერნატიული მონახაზის ჩათვლით) მოპოვებული იქნა შემდეგი წყაროებიდან:

- გორისა და კასპის საკადასტრო მონაცემები მიღებულ იქნა საჯარო რეესტრიდან
- იმ რაიონების აეროფოტოსურათები, რომლებზეც გაივლის გზის სხვადასხვა სავარაუდო მონახაზი, მოპოვებულია ტოპოგრაფიულ არქივში.

ამ საკადასტრო მონაცემებიდან ამოკრეფილი და რუქაზე დატანილ იქნა ინფორმაცია გზის გასწვრივ 600მ სიგანეზე განლაგებული საზოგადოებრივ და კერძო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთების შესახებ. შედეგად ჩამოყალიბდა მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მასზე, თუ ვის საკუთრებაშია და როგორ გამოიყენება ყოველი მიწის ნაკვეთი.

მოსახლეობის აღწერის, საველე გამოკვლევების, შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე, 1:2000 მასშტაბის დეტალური რუქების გამოყენებით ჩატარდა შემდეგი საკადასტრო კვლევები:

- ადგილობრივ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ადგილზე აღწერის მეთოდის გამოყენებით დადგენილი/გადამოწმებული იქნა საკუთრების უფლებები მთელ არსებულ ქონებაზე
- თანამედროვე სტანდარტთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი მთელი რიგი ნაკვეთების პროფილი
- დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო (როგორც სარწყავი, ასევე ურწყავი, როგორც სახნავი, ასევე უხნავი, მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული და ა.შ.) მიწების მდგომარეობა
- მოხდა მთელი არასასოფლო-სამეურნეო ქონებისა და აღჭურვილობის რეგისტრაცია სკოლებისა და კომერციული საკუთრების (მაღაზიები, ბენზინგასამართი სადგურები და სხვ.) ჩათვლით
- იდენტიფიცირებული და რეგისტრირებულია ყველა შენობა და ნაგებობა (სართულების რაოდენობა, პროფილი, მდგომარეობა, მუდმივი/დროებითი და ა.შ.)
- ჩატარდა არასასოფლო-სამეურნეო ქონების ანალიზი

მთელი ზემოდაღწერილი ინფორმაცია ერთად იქნა თავმოყრილი და შეიქმნა მისი ელექტრონული ვერსია, რაც საშუალებას მოგვცემს შევაჯეროთ ყოველივე ეს გზის საბოლოო მოხაზულობასთან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების დასადგე-

ნად და მიწის ჩამორთმევის ფარგლების დასაზუსტებლად.

(ii) აქტივების ინვენტარიზაცია, დეტალური საინვენტარიზაციო და სოციოეკონომიკური გამოკვლევა

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების განსაზღვრისა და იდენტიფიკაციის შემდეგ აღმწერთა ჯგუფი შეუდგა ყოველ მათგანში არსებული აქტივების (ნაგებობები, ნარგავები, მოსავალი, აღჭურვილობა, კომუნალური რესურსები და სხვ.) ინვენტარიზაციასა და დეტალურ შეფასებას. ამის გარდა ჩატარდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების სოციოეკონომიკური გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ როგორ იმოქმედებს მათ საცხოვრებელ სტანდარტზე მიწის ჩამორთმევა და გადაადგილება. ამ მიზნით გამოყენებული გამოკითხვის ფორმები (აქტივების ინვენტარიზაცია და სოციოეკონომიკური გამოკითხვის ფორმები) მოცემულია დანართებში 1 და 2.

3.2. პროექტით მოცულ შინამეურნეობათა და პირთა აღწერა

აღწერა ჩატარდა ყველა შინამეურნეობისათვის, რომელსაც შეეხება მიწის ჩამორთმევა (გზის რეზერვი და კერძო მიწები). საცნობაროდ გამოყენებული იყო 1:2000 მასშტაბის

ცხრილი 1. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირთა რაოდენობა ადგილმდებარეობის მიხედვით.

	შინამეურნეობები		კომერციულ სტრუქტურებში დასაქმებულები
	რაოდენობა	წევრთა რაოდენობა	
კასპი			
კოდისწყარო	34	126	0
ოკამი	7	26	0
ქვემოჭალა	6	22	9
სამთავისი	9	33	57
სულ კასპი	56	207	66
ბორი			
ბერბუკი	12	51	0
ზედდუღეთი	31	127	0
შავშვები	42	149	7
სულ გორი	85	327	7
სულ	141	534	73

წყარო: აღწერის შედეგები 20 ივნისი 2007, Kocks Consult და გეოგრაფიკი.

საკადასტრო რუქები. იმ მიწის ნაკვეთებისათვის, რომლებიც გზის საბოლოო მოხაზულობის გზის უფლების მოქმედების სფეროში მოექცა, მესაკუთრეთა სახელების სია მიღებულ იქნა საჯარო რეესტრიდან, ხოლო გზის გასწორვ მდებარე სტრუქტურების მფლობელთა /ოპერატორთა სია წინასწარ იყო მომზადებული. დანართში 5. მოცემულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების სრულ სია კატეგორიების ადგილმდებარეობისა და პროექტის ზემოქმედების დონის ჩვენებით.

ცხრილი №1-ში მოყვანილია ზემ პირთა რაოდენობა ზემოქმედების კატეგორიის (მინის დაკარგვა ან მოქმედ კომერციულ სანარმოში/ფიხურში სამუშაოს დაკარგვა) და ადგილმდებარეობის მიხედვით. სულ 607 ზემ პირისგან 273 ან 45% კასპის რაიონიდან არიან, ხოლო 334 ან 55% გორის რაიონიდან. კასპის რაიონის 273 ზემ პირისგან 207 კარგავს მინის ნაწილს, ხოლო 66 კარგავს სამუშაოს. გორის რაიონის 334 ზემ პირისგან 327 კარგავს მინის ნაწილს, ხოლო 7 კარგავს სამუშაოს.


3.3. ზეგავლენის ფარგლები

ამ პუნქტში მოცემულია მინაზე, ნაგებობებზე, ბიზნესზე, მოსავალზე, ნარგავებზე და სხვა აქტივებზე პროექტის ზემოქმედების კატეგორიებისა და სახეების შეფასებების შედეგები და აგრეთვე აღწერილია დროებითი ზეგავლენები მშენებლობის პერიოდში.

(i) პროექტით მოცული მიწების დახასიათება

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული არეალი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზომიერად განაშენიანებულ ადგილებს იგოეთსა (სავარაუდო შემოვლითი გზის დასაწყისში) და საცხოვრებელ ზონებს სხვადასხვა სოფლებში, ძირითადად შედგება სასოფლო-სამეურნეო მიწების პატარ-პატარა ზოლებისაგან, რომლებიც განლაგებული არიან არსებული გზის მონახაზის პერპენდიკულარულად. კერძო საკუთრებაში მყოფი მინის ნაკვეთების კონფიგურაცია განპირობებულია საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ მიწების გადანაწილებით. სანამ საბჭოთა სისტემის დაირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენება ხდებოდა კოლექტიურ საწყისებზე და ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. პრივატიზაციის პროცესში კოლექტიური მიწები დაქუცმაცდა მცირე ზომის ნაკვეთებად და გადანაწილდა კერძო შინამეურნეობებზე, რომლებიც არავითარ შეღავათებს არ ღებულობდნ სახელმწიფოსაგან. ასე რომ, ამ მიწების უმრავლესობა ან კულტივირებულია, ანდა უხნავი და მხოლოდ საქონლის საკვების მოსაყვანად გამოიყენება. პროექტის მოქმედების არეში მინის საკადასტრო შაბლონის ნიმუში გამოსახულია ნახ. 8.

მიმდინარე ეტაპზე მინის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობის და მოწესრიგების საკითხი საკმაოდ რთულად დგას როგორც პროექტის განხორციელების არეალში, ასევე მთლიანად ქვეყანაში. მინის პრივატიზაციის პროცესში, ნაკვეთების ინდივიდუალურ მესაკუთრეებზე გამოყოფა გულისხმობდა რომ ახალი მფლობელი დაარეგისტრირებდა მის კუთვნილ ნაკვეთს. მიუხედავად ამისა, ახალ მესაკუთრეთა უმრავლესობამ ეს ვერ მოახერხა ვინაიდან ვერ მოუყარა თავი ყველა საჭირო დოკუმენტს: განცხადება/განაცხადი, ნაკვეთის გამოყოფის და საზღვრების დემარკაციის აქტი, გამოყოფილი ნაკვეთის საკადასტრო რუკა, ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ მინის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებიდან ამონაწერი, ახალი მეპატრონის როგორც გადასახადის გადამხდელის დარეგისტრირების ასლი და სხვა. ზემოაღნიშნულის გამო წინამდებარე პროექტის განხორციელების პროცესში ჩატარებული გამოკითხვის და ინვენტარიზაციის დროს ზემ პირთა უმეტესობას არ აღმოაჩნდა ოფიციალური სახით გაფორმებული საკუთრების დამადასტურებელი საბუთი. ამავ დროს გამოიკვეთა, რომ ყველას გააჩნია დაკავებული ნაკვეთის ფლობის როგორც გარკვეული საბუთი (ადგილობრივ გამგეობებში ჩანაწერების სახით), ასევე მომიჯნავე ნაკვეთებზე უშუალო მეზობლებისგან დასტური. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკარმიდამო ნაკვეთების არაკანონიერი/არაფორმალური მოსარგებლები პროექტის ზემოქმედების არეალში არ გამოვლინდა



ნახ. 8. საკადასტრო შაბლონის ნიმუში პროექტის მოქმედების არეში

არსებული გზის მოხაზულობის მიმართ ნაკვეთების განლაგების გამო დასაპროექტებელი გზატკეცილის მოხაზულობა გავლენას მოახდენს შინამეურნეობების/პირების მნიშვნელოვან რიცხვზე თუ არ იქნება გამოყენებული პროექტთან მცირე შეხებაში მყოფი ნაკვეთების რაოდენობის მინიმიზაციის სტრატეგია. ამ მიზნით ტექნიკური დაგეგმარების კონსულტანტისაგან მიღებული რჩევების გათვალისწინებით და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტთან შეთანხმებით განხორციელდა გზის მოხაზულობისა და გზის მახასიათებლების კორექცია. ამგვარად, თავდაპირველი შეფასებებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სავარაუდო 400 ნაკვეთის რიცხოვნობა დაყვანილ იქნა 167 მდე. ეს არის ნაკვეთების მინიმალური რაოდენობა, რომელიც გარდაუვალად მოხვდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ და რომელიც საშუალებას იძლევა დაცული იყოს გაუმჯობესებული გზატკეცილის ტექნიკური ერთიანობა და უზრუნველყოფილი სათანადო ტექნიკური მახასიათებლები.

(ii) ზემოქმედება მიწაზე

ცხრილი №2-ში წარმოდგენილია პუქმ მიწის ნაკვეთები მათი ადგილმდებარეობის, საკუთრების კატეგორიის და სტატუსის მიხედვით. მთლიანად პუქმ ნაკვეთებიდან 72 მიეკუთვნება კასპის რაიონს, ხოლო 95 – გორის რაიონს. პუქმ ნაკვეთების მთლიანი რაოდენობიდან 151 არის კერძო მფლობელობაში, ხოლო 16 არის მუნიციპალურ საკუთრებაში. კერძო და მუნიციპალური ნაკვეთებიდან შესაბამისად 8 და 8 არის იჯარით გაცემული.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების მთლიანი ფართი შეადგენს 101 ჰა-ს. პროექტისთვის ჩამოსართმევი მიწის ფართი დაახლოებით 9,1 ჰექტარია. საიდანაც 8,7ჰა კერძოა, ხოლო 0,4 ჰა მუნიციპალური (იხ. მიწაზე ზეგავლენების კრებსითი მონაცემების ცხრილი 2).

როგორც ნაჩვენებია დანართი №5-ში, ნაკვეთებზე ზემოქმედების მასშტაბი არის სხვადასხვა. ზოგიერთ ნაკვეთზე, როგორც კომერციულზე (13) ასევე საკარმიდამოზე/სასოფ-

ლო-სამეურნეოზე (12) მიწის ჩამოჭრა აღემატება მთლიანი ნაკვეთის 50%-ს. ეს კარგად ესმით აღნიშნული ნაკვეთების მესაკუთრეებს ვინაიდან ყველა აქტიურად მონაწილეობდა აზომვა/დემარკაციის და ინვენტარიზაციის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თანდასწრებით. აღნიშნულ ნაკვეთებზე ადგილმონაცვლეობის/განსახლების საჭიროება არ იკვეთება ვინაიდან ზემოთაღნიშნული ნაკვეთები/პირები ცალსახად ირჩევენ ფულადი სახის კომპენსაციას. პოტენციური სახლების მიმდებარე საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელები ისევე როგორც კომერციული ნაკვეთების მფლობელები ამჯობინებენ ეზოს/ნაკვეთის დარჩენილი ნაწილის შენარჩუნებას და ჩამორთმეული ნაწილისთვის კომპენსაციის მიღებას, რაც გამოორიცხავს გადაადგილებას. ასევე არ იქნება გასათვალისწინებელი რაიმე დამატებითი კომპენსაცია ზემოქმედების "სიძლიერის" გამო, ვინაიდან პოტენციური პირების ძირითადი საარსებო შემოსავალი არ არის დამოკიდებული მიწის ჩამოჭრილ ნაწილზე. აღნიშნული პოტენციური პირები მიაჩნია რომ შეთავაზებული კომპენსაცია მოსალოდნელი დანაკარგის ადეკვატური იქნება.

(iii) ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე

მიუხედავად იმისა, რომ გზის მოხაზულობა გულდასმით შეირჩა შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედების ასარიდებლად და ბიზნესზე ზეგავლენისა და (შესაბამისი სტრუქტურების) გადაადგილების მინიმუმირებისათვის, გზის გაფართოება და მისი გადაქცევა ორმაგ ორზოლიან გზატკეცილად გავლენას მოახდენს არსებული გზის გასწვრივ მდებარე ჯიხურებისა და მსგავს კომერციულ სტრუქტურებზე ისევე, როგორც გარკვეულ შენობებზე, რომლებიც განლაგებული არიან კერძო საკუთრებაში მყოფ მიწაზე. პროექტის ზემოქმედების ქვეშ ხვდება 13 ჯიხური და კომერციული ნაგებობა და 14 საცხოვრებელი სახლი, როგორც ეს ჩანს ქვემოთმოტანილი ცხრილიდან 3. დამატებით 52 დამხმარე ნაგებობა (სწყობი, ცხოველების სადგომი, ღობე), 4 საზოგადოებრივი და 4 სხვა სახის (მათგან 1 სპორტული მოედანი) ნაგებობა ექცევა პროექტის ზემოქმედების ქვეშ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად 14 საცხოვრებელ სახლზე ზემოქმედებისა, ადგილმონაცვლეობის/განსახლების საჭიროება არ წარმოიშვება ვინაიდან ზემოქმედების მასშტაბი უმეტესად არ არის ძლიერი. იმ ნაკვეთებზეც კი, სადაც ზემოქმედება ძლიერია, ზემოქმედება/მესაკუთრეები ირჩევენ ნაკვეთზე დარჩენას და აქტივების აღდგენას (სახლის ან სხვა შენობა-ნაგებობების თავიდან აგებას) პროექტისგან მიღებული კომპენსაციების მეშვეობით. პოტენციური ნაგებობების უმრავლესობა ძველი და ძლიერ ამორტიზებულია - მისი შეფასების და ადგილმონაცვლეობის ღირებულების გათვალისწინებით, მესაკუთრე განიხილავს ამას როგორც განახლების/რეკონსტრუქციის დროულ და კარგ შესაძლებლობას.

(iv) ზემოქმედება მოსავალსა და ნარგავებზე

დეტალური საინვენტარიზაციო გამოკვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი ზეგავლენას იქონიებს მთელ რიგ ხეებზე (ხეხილის და სხვ.). ქვემოთმოყვანილი ცხრილი 4. გვიჩვენებს ამ ხეების დეტალური ინვენტარიზაციის შედეგებს სახეობების და ადგილმდებარეობის მიხედვით.

(v) ზეგავლენა ბიზნესზე

პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა 13 კომერციული სტრუქტურა თავისი ნაგებობებით და 73 დასქმებული. ამ ბიზნეს საქმიანობის უდიდესი წილი (11) კასპის რაიონის ხოლო და-ნარჩენები (2) გორის რაიონის ტერიტორიაზე მოდის.. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი

მესაკუთრენი/ოპერატორები ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებლები არიან.

ცხრილი №5 წარმოგვიდგენს ბიზნესებზე (კომერციულ საქმიანობაზე) ზემოქმედების აღწერას. ჰქმ ბიზნესები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად: მცირე ზომის რესტორნები (8 კასპის რაიონში და 2 გორის რაიონში), ავტო ტექნომსახურების სახელოსნოები (2 კასპის რაიონში) და საცალო ვაჭრობის მცირე ბიზნესი ჯიხურებში (11 კასპის რაიონში).

ჰქმ 13 კომერციული საწარმოდან 12 ნაგებობა თავისი მიწის ნაკვეთით, ღობეებით და სხვა დამხმარე ნაგებობებით არის კერძო საკუთრებაში, ხოლო 1 არის კასპის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში, რომელიც გაცემულია იჯარით 11 მცირე მენარმეზე და წარმოადგენს სექციებად დაყოფილ ჯიხურების მოდულს 11 ბიზნეს-ოპერატორით.

ჰქმ 13 კომერციული საწარმოს ნაგებობების აღება გამოისახება 12 ობიექტზე 62 მუშაკისთვის სამუშაოს დაკარგვით (ძირითადად საზღვრის ობიექტები და ავტოტექნომსახურების სახელოსნოები) და ვაჭრობის შეჩერებით მცირე კოსკებში მომუშავე 11 მოიჯარისთვის.

კომერციული საქმიანობის მესაკუთრეებისათვის (ზემოქმედების განსაზღვრა ნაგებობებზე და ნაკვეთზე ასევე მოცემულია ცხრილი №5-ში) დანაკარგების კომპენსაციის გაანგარიშება მოხდება მიწის საბაზრო ფასზე და ნაგებობის გადატანის/აგების ღირებულებაზე დაყრდნობით.

კომერციული მენარმეებისთვის კომპენსაცია შემოსავლის დაკარგვის გამო გაიანგარიშდება საშუალო თვიური შემოსავლიდან გამომდინარე (როგორც ანალოგიური საქმიანობისთვის ჰქმ რეგიონში: 200 ლარი) ან ფაქტობრივ თვიურ შემოსავლებზე დაყრდნობით – თუ წარმოდგენილი იქნება საგადასახადო დეკლარაცია. თანხა გაიცემა სამი თვის კომპენსაციის ოდენობით.

დაქირავებული მუშა-მოსამსახურეებისთვის კომპენსაციის გაანგარიშება მოხდება ანალოგიური სამუშაოსთვის საშუალო თვიური ანაზღაურებიდან გამომდინარე (როგორც ანალოგიური საქმიანობისთვის ჰქმ რეგიონში: 120 ლარი) ან ფაქტობრივი თვიური ხელფასის მიხედვით – თუ წარმოდგენილი იქნება საგადასახადო უწყისები. თანხა გაიცემა სამი თვის კომპენსაციის ოდენობით.

ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ზოგიერთი კომერციული საქმიანობის მესაკუთრე კარგავს მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის ნაწილს. ასეთ შემთხვევებში მიწის დაკარგვის კომპენსაცია დაეფუძნება ტოლფასი ნაკვეთების შეძენის ღირებულებას. კომერციული საქმიანობის მესაკუთრეებმა ინტერვიუების დროს გამოთქვეს ნაკვეთების დათმობის მზადყოფნა, თუ შესაბამისი კომპენსაცია გადახდილი იქნება საბაზრო ფასზე დაყრდნობით.

კომერციული ჯიხურების გადატანის ღირებულება არ იქნა შეტანილი ხარჯებში ვინაიდან ჯიხურების მოდული ადვილად შეიძლება იქნას ტრენსპორტირებული ახლად შერჩეულ ადგილზე კონსტრუქციის დაზიანების გარეშე. ასევე არ იქნა გათვალისწინებული გადაადგილების კომპენსაცია ჯიხურების მესაკუთრისთვის, ვინაიდან მესაკუთრეს წარმოადგენს კასპის მუნიციპალიტეტი. ჯიხურების მოდულის გადატანა წარმოადგენს კასპის მუნიციპალიტეტის და არა გზის მშენებლობის კონტრაქტორის ვალდებულებას.

ცხრილი 2. მიწაზე ზეგავლენის კრებსი

	მიწის კატეგორია												პროექტის საერთო ზემოქმედების მაჩვენებლები
	კერძო				სახელმწიფო				სულ				
	საკუთარ მოხმარებაში		იჯარაში გაცემული		საკუთარ მოხმარებაში		იჯარაში გაცემული		საკუთარ მოხმარებაში		იჯარაში გაცემული		
	ოდენობა	P%	ოდენობა	P%	ოდენობა	P%	ოდენობა	P%	ოდენობა	P%	ოდენობა	P%	
კასპი													
ზემოქმედების ქვეშ .მყოფი ნაკვეთების რაოდენობა	60	92,3%	3	42,9%	5	7,7%	4	57,1%	65	100%	7	100%	72
ზემოქმედების. ქვეშ .მყოფი ნაკვეთების ფართობი(კვ.მ)	275865	98,1%	4133	3,2%	5369	1,9%	127010	96,8%	281234	100%	131143	100%	412377
პროექტის მიზნებისთვის საჭირო ფართობი(კვ.მ)	38243	97,6%	708	28,0%	942	2,4%	1817	72,0%	39185	100%	2525	100%	41710
პროექტის ზემოქმედება მიწაზე (%)	13,9%		17,1%		17,5%		1,4%		13,9%		1,9%		10,1%
ბორი													
ზემოქმედების ქვეშ .მყოფი ნაკვეთების რაოდენობა	83	96,5%	5	62,5%	3	3,5%	4	37,5%	86	100%	8	100%	95
ზემოქმედების. ქვეშ .მყოფი ნაკვეთების ფართობი(კვ.მ)	506127	93,1%	42597	77,7%	37226	6,9%	12208	22,3%	543353	100%	54805	100%	598158
პროექტის მიზნებისთვის საჭირო ფართობი(კვ.მ)	47171	97,7%	1395	71,3%	1131	2,3%	561	28,7%	48302	100%	1956	100%	50258
პროექტის ზემოქმედება მიწაზე (%)	9,3%		3,3%		3,0%		4,6%		8,9%		3,6%		8,4%
სულ													
ზემოქმედების ქვეშ .მყოფი ნაკვეთების რაოდენობა	143	94,7%	8	53,3%	8	5,3%	8	46,7%	151	100%	15	100%	167
ზემოქმედების. ქვეშ .მყოფი ნაკვეთების ფართობი(კვ.მ)	781992	94,8%	46730	25,1%	42595	5,2%	139218	74,9%	824587	100%	185948	100%	1010535
პროექტის მიზნებისთვის საჭირო ფართობი(კვ.მ)	85414	97,6%	2103	46,9%	2073	2,4%	2378	53,1%	87487	100%	4481	100%	91968
პროექტის ზემოქმედება მიწაზე (%)	10,9%		4,5%		4,9%		1,7%		10,6%		2,4%		9,1%

წყარო: აღწერის შედეგები 20 ივნისი 2007, Kocks Consult და გეოგრაფიკი

ცხრილი 3. ნაგებობათა რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა

	საზოგადოებრივი ნაგებობა	საცხოვრებელი	კომერციული ნაგებობა	დამხმარე ნაგებობები			სპორტული მოედანი	სხვა
				სან-ყოფი	ცხოველებ-ის სადგომი	კედელი ლოზე		
ქასპი								
კოდისწყარო	0	2	0	5	1	5	0	2
ოკამი	0	2	0	1	2	3	0	0
ქვემოჭალა	1	0	1	0	0	2	0	0
სამთავისი	1	0	10	0	0	2	0	0
სულ ქასპი	2	4	11	6	3	12	0	2
ბორი								
ბერბუკი	0	1	0	0	0	1	0	0
ზედდულეთი	0	5	0	0	0	5	1	0
შავშვები	2	4	2	0	1	24	0	1
სულ გორი	2	10	2	0	1	30	1	1
სულ	4	14	13	6	4	42	1	3

წყარო: აღწერის შედეგები 20 ივნისი 2007, Kocks Consult და გეოგრაფიკი

(I) სხვა ზეგავლენები

დროებითი ზემოქმედებები

ზემოქმედებათა ამ კატეგორიაში შედის: სასოფლო-სამეურნეო მიწების აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების ან მათი ნაწილის, საზოგადოებრივი ნაგებობებისა ან მათი ნაწილის დროებით დაკავება პროექტის საჭიროებებისთვის, აგრეთვე სამენარმეო და დასაქმების დროებითი დანაკარგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვან პროექტის რეალიზაციისას. დროებითი ზემოქმედებების მასშტაბების განსაზღვრა და მათი დადგენილი წესით კომპენსირება კონტრაქტორის კომპეტენციაში შედის.

სხვა ზემოქმედებები

E-60 ავტომობილ მაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ პროექტის განხორციელებას გააჩნედეს მნიშვნელოვანი ზემოქმედება საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ეროვნული მნიშვნელობის ობიექტებზე. კერძოდ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს:

- მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები,
- კავშირგაბმულობის კაბელები,
- მობილური კავშირგაბმულობის ანძები,
- ნავთობსადენი,
- მაგისტრალური გაზსადენი,

რაც კონტრაქტორისაგან სიფრთხილის სათანადო ზომების გატარებას მოითხოვს. ამას-

თანავე, გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოთა განხორციელებისას უნდა გამორიცხულ იქნას დღემდე უცნობი ან ამჟამად ცნობილი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების დაზიანება ამ ზემოქმედებების თავიდან აცილება და მათი წარმოქმნისას უარყოფითი შედეგების სრული გამოსწორება კონტრაქტორის პასუხისმგებლობის საგანი უნდა იყოს ხელშეკრულების მიხედვით.

ცხრილი 4. ნარგავების რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა

	ვამლი	მსხალი	კომში	ქლიავი ჭანჭური	ტყემალი	გარგარი ჭერამი	ატამი	ბალი	კაკალი	თხილი	ვაზი	სხვა	სულ
კასპი													
ს-ს ნაკვეთებზე													
ძირი სულ	27	24	8	64	17	4	12	12	49	12	107	30	366
მსხმოიარე	10	8	8	49	17	4	6	12	32	12	107	20	285
არა ს-ს ნაკვეთებზე													
ძირი სულ	4	4	1	28	5	2	2	18	5	35	1	4	109
მსხმოიარე	0	1	1	4	4	2	2	3	3	0	0	1	21
ბორი													
ს-ს ნაკვეთებზე													
ძირი სულ	24	17	21	193	74	15	6	61	105	4	455	39	1014
მსხმოიარე	1	8	12	184	72	14	4	56	73	2	382	18	826
არა ს-ს ნაკვეთებზე													
ძირი სულ	0	1	7	0	0	0	0	0	0	0	0	52	60
მსხმოიარე	0	1	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	6
სულ ნაკვეთების ტიპის მიხედვით													
ს-ს ნაკვეთებზე													
ძირი სულ	51	41	29	257	91	19	18	73	154	16	562	69	1380
მსხმოიარე	14	12	9	77	22	6	8	30	37	47	108	24	394
არა ს-ს ნაკვეთებზე													
ძირი სულ	4	5	8	28	5	2	2	18	5	35	1	56	169
მსხმოიარე	0	2	6	4	4	2	2	3	3	0	0	1	27
სულ	69	60	52	366	122	29	30	124	199	98	671	150	1970
ძირი სულ	55	46	37	285	96	21	20	91	159	51	563	125	1549
მსხმოიარე	14	14	15	81	26	8	10	33	40	47	108	25	421

წყარო: აღწერის შედეგები 20 ივნისი 2007, Kocks Consult და გეოგრაფიკი

ცხრილი 5: ზემოქმედება სხვადასხვა ბიზნესზე

№	№ რუკით	რაიონი	მინა	შენობა		დამხმარე ნაგებობები ფართი გეგმაში მ ²	ლობე გრძივი მ	დასაქმებული	კომპენსაციები (ლარი)				საქმიანობა
				ფართი გეგმაში მ ²	სართული				მინა	ნაგებობები	ბიზნესის	დასაქმების	
1	783	კასპი	480	200	1	10	0	2	7603	19000	600	720	საზოგადოებრივი
2	868	კასპი	4010	200	1	0	143	4	63518	21716	600	1440	საზოგადოებრივი
3	888	კასპი	259	160	2	50	56	20	4103	32129	600	7200	საზოგადოებრივი
4	1058	კასპი	137	30	1	0	0	1	2170	2850	600	360	საზოგადოებრივი
5	1060	კასპი	609	170	1	60	0	8	9647	19390	600	2880	ა/სერვისი
6	1091	კასპი	329	60	1	0	0	1	5211	5700	600	360	საზოგადოებრივი
7	1203	კასპი	93	150	1	0	0	1	1473	14250	600	360	საზოგადოებრივი
8	1209	კასპი	673	672	1	216	75	4	10660	77826	600	1440	ა/სერვისი
9	1211	კასპი	871	250	1	12	0	2	13797	23750	600	720	საზოგადოებრივი
10	1213	კასპი	785	400	1	30	97	12	926	42325	600	4320	საზოგადოებრივი
11	191	გორი	20	20	1	0	0	4	317	1900	600	1440	საზოგადოებრივი
12	554	გორი	161	180	1	0	0	3	121	17100	600	1080	საზოგადოებრივი
13	1333	კასპი	143	20	1	0	0	11	0	0	6600	3960	ჯიხურები

წყარო: აღწერის შედეგები 20 ივნისი 2007, Kocks Consult და გეოგრაფიკი

საზოგადოებრიობასთან შეხვედრებმა (იხ. დანართი 3) გამოკვეთეს აგრეთვე ადგილობრივი ხასიათის შემდეგი ზემოქმედებების შესაძლებლობა:

პროექტის განხორციელების შედეგად ავტომაგისტრალზე მოძრაობის ინტენსივობის გაზრდისა და იმ გარემოების გამო, რომ მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ძირითადად განლაგებული არიან გზის სხვადასხვა მხარეს, აქტუალური ხდება **მოხერხებული გადასასვლელების მონაცხობა**. მოხერხებულ განლაგებასთან ერთად, გადასასვლელები უნდა უზრუნველყოფდნენ მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (კომბაინის ზომის) გადაყვანის შესაძლებლობას, აგრეთვე ცხოველებისა და ადამიანების უსაფრთხო გადაადგილებას გზის გადაკვეთისას. უსაფრთხოების საკითხის მნიშვნელობაზე მიუთითებს ავტოსაგზაო შემთხვევებისას დაღუპულთა მემორიალები, რომლებიც მრავლადაა წერმოდგენილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის ორივე მხარეს. აქვე უნდა იქნას აღნიშნული, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია **საქალაქთაშორისო სამგზავრო ავტოტრანსპორტის გაჩერებების მოსახერხებელი განლაგება**.

პროექტის განხორციელების შედეგად შეიძლება გაუქმდეს ის ადგილები, რომლებსაც მოსახლეობა იყენებდა გზისპირა ვაჭრობისთვის. ადგილობრივ მოსახლეობას მიზანშეწონილად მიაჩნია ავტომაგისტრალის გასწვრივ მათი თემების ტერიტორიაზე სპეციალური **სავაჭრო ადგილების მონაცხობა**, ვინაიდან გზისპირა ვაჭრობა მათთვის პროდუქციის რეალი-

ზაციისა და, შესაბამისად, შემოსავლების ფორმირების მნიშვნელოვანი წყაროა.

პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვლება **ადგილობრივი მისასვლელი გზების სტრუქტურა**, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ადგილობრივ მოსახლეობას რომ არ შეეზღუდოს თავიანთ ნაკვეთებთან მისვლის შესაძლებლობა, აგრეთვე მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (კომბაინის ზომის) გადაადგილებისა და შინაური ცხოველების საძოვრებზე მიყვანის შესაძლებლობანი.

პროექტმა ზემოქმედების ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს **წყალმომარაგების სათავე ნაგებობები, სამელიორაციო და სანიაღვრე სისტემები**. ავტომაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთს თითქმის მთელ გაყოლებაზე გასდევს არხი და სადრენაჟე სისტემა, რომელთა დაზიანება მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებს ადგილობრივ სოფლის მეურნეობას. ამავ კატეგორიის ობიექტებიდან აგრეთვე უნდა აღინიშნოს: წყალმომარაგების სათავე ნაგებობები, სანიაღვრე ნაგებობები, წყლის ქაბურღილები და ბუნებრივი წყაროები, რომლების განლაგებულნი არიან გზის მახლობლობაში.

პროექტის განხორციელების შემდგომი ზემოქმედებებიდან უმნიშვნელოვანესთა რიცხვს მიეკუთვნება:

მძიმე ავტომობილების მოძრაობის ინტენსივობის გაზრდის შედეგად წარმოქმნილი **ვიტრაციით სახლების დაზიანება** (ამგვარ ფაქტებს უკვე აქვთ ადგილი უშუალოდ გზისპირას განლაგებულ სოფლებში მაგალითად შავშვებში, გამდლისწყაროში და რენეში), **ხმაური**, აგრეთვე გარემოსდაცვით შეფასებებში ასახული ისეთი საკითხები, როგორებიცაა **ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურება**.

ამ ზემოქმედებათა თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრიობის მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით (იხ. დანართი 3) სათანდო საინჟინრო გადაწყვეტილებები და შემარბილებელი/აღმომფხვრელი ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული პროექტირების ეტაპზე და გათვალისწინებული უნდა იქნას უშუალოდ სამუშაოთა წარმოებისას კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში.

3.4. საკომპენსაციო თანხების რაოდენობის განსაზღვრა

ყოველი ერთეულოვანი კომპენსაციის თანხა განისაზღვრება შემდეგი მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- მიწა შეფასებული იქნება ნიხრით, რომელიც ემყარება საშუალო ღირებულებას. ამ უკანასკნელის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი: ა) 1 ჰა-ზე პროდუქციის სახეობის მიხედვით წლიური მოსავლიანობის (აღებულია სტატისტიკური მონაცემებიდან) საფუძველზე გაანგარიშებული მიწის ნაყოფიერების შეფარდება საბანკო დეპოზიტზე (ბოლო მონაცემებით) საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთთან მიწის სხვადასხვა კატეგორიებისათვის (სარწყავი, არასარწყავი, საძოვარი, არასასოფლო-სამეურნეო), ბ) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ მიწიდან მიღებული შემოსავალი სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევის ანგარიშის საფუძველზე. საპროექტო სივრცეში სასოფლო-სამეურნეო მიწის სხვადასხვა კატეგორიებისათვის

ნაკვეთის ღირებულების გამოთვლის დეტალური მეთოდოლოგია მოცემულია დანართში 8.

- ნარგავების ფასი განისაზღვრება ხნოვანების კატეგორიის საფუძველზე. ნაყოფიერი ხეები შეფასებული იქნება ერთი წლის მოსავლის სბაზრო ღირებულების მიხედვით (დეტალური მეთოდოლოგია მოცემულია დანართში 9)
- სახლებისა და შენობების შეფასებას საფუძვლად უდევს სამი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ საშენი მასალების ღირებულებაზე (მიმდინარე ფასებში), ნაგებობის სახეობაზე, შრომაზე, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე განეული ხარჯების შეფასება და თვით მესაკუთრის მიერ ანალოგიური ნაგებობის ასაშენებლად მოთხოვნილი თანხის ოდენობა. თუ ეს უკანასკნელი შემფასებლების მიერ რეკომენდირებულ საშუალო ღირებულებას არ აღემატება 20%-ზე მეტად, მაშინ გაიცემა ეს თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ შემფასებლების მიერ რეკომენდირებულ საშუალო ღირებულება (დეტალური მეთოდოლოგია მოცემულია დანართში 10.)
- ბიზნესის დანაკარგების კომპენსაციები გამოითვლება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესის შემოსავლების ანალიზის საფუძველზე, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ბიზნესის მფლობელთან ჩატარებული კონსულტაციები, რომლებიც ასახულია ინვენტარიზაციის ფორმაში, და გსგ-ს წინასწარი ვარიანტის საჯარო განხილვების დროს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. იმ შემთხვევაში თუ ფასის შესახებ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, ბიზნესის მფლობელმა/ოპერატორს შეუძლია დაასაბუთოს საკუთარი პრეტენზია საგადასახადო დოკუმენტების საშუალებით.

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს ოჯახის შემოსავლისა და ცხოვრების სტანდარტზე მინის ჩამორთმევით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების მიმართ გაზრდილი ყურადღება და შემარბილებელი ქმედებები, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ზომების მიღება. კერძოდ, სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტორთან შეთანხმებით სამუშაოზე მიღების დროს პრიორიტეტი უნდა მიეცეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაუცველი ოჯახების შრომისუნარიან წევრებს.

4. პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩოები

4.1. საქართველოს კანონმდებლობა

აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების მთავარი საავტომობილო გზის იჯოეთ-სვენეთის მონაკვეთის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში გზატკეცილის გაფართოება, ისევე როგორც ამ გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ადექვატური უსაფრთხოების ზომების მიღება, მოითხოვს მთავრობის მიერ საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის კერძო პირების აქტივებისა და საკუთრების ნაწილობრივ და/ან მთლიან ჩამორთმევას. აქედან გამომდინარე, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების უფლების მარეგულირებელი კანონებისა და დებულებების მიმოხილვა განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების განუყოფელი ნაწილია.

კანონმდებლობის მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტით მოცულ გზის მონაკვეთზე საკუთრების ჩამორთმევას არეგულირებენ შემდეგი კანონები და დებულებები:

- საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
- საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 1999 წლის 23 ივლისი;
- საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, 1997 წლის 2 ოქტომბერი და ამ კანონის უკანასკნელი შესწორება 2007 წლის 11 ივლისს;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“, 1998 წლის 28 ოქტომბერი;
- საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 1996 წლის 22 მარტი;
- საქართველოს კანონი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“, 2005 წლის 28 დეკემბერი;
- საქართველოს შრომის კოდექსი, 2006 წლის 24 მაისი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 24 მაისი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ“, 2005 წლის 8 ივლისი.
- საქართველოს კანონი „სავტომობილო გზების შესახებ“, 1994 წლის 11 ნოემბერი.

ზემოთჩამოთვლილი კანონები და ინსტრუქციები საშუალებას გვაძლევს საკუთრების უფლების კანონიერი გამოყენებისათვის დავეყრდნოთ შემდეგ მექანიზმებს:

გზის მუდმივი უფლების მოპოვება ჩამორთმევის გარეშე შესაბამისი კომპენსაციის გადახდით (მოლაპარაკების ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე) სამუშაოების დაწყებამდე

ექსპროპრიაცია, რაც მიწაზე და/ან უძრავ ქონებაზე მუდმივი უფლების მოპოვების საშუალებას იძლევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

ზემოთჩამოთვლილი მექანიზმების ადექვატური გამოყენება გარანტიას იძლევა იმისა,

რომ გათვალისწინებული იქნება ყველა მხარის კანონიერი ინტერესი და დაცული იქნება არსებული კანონმდებლობის ნორმები. ჩინამდებარე განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისას ქონების რეგისტრაციისა და ექსპროპრიაციის იურიდიული პროცედურები მსგავსია ალაიანი-იგოეთის მონაკვეთზე განხორციელებული პროცედურებისა და დანვრილებითაა აღწერილი დანართში 11.

4.2. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა

აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების მთავარი საავტომობილო გზის იგოეთ-სვენეთის მონაკვეთის რეაბილიტაციის მოცემული პროგრამა ხორციელდება მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარებით და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება მსოფლიო ბანკის პოლიტიკის მოთხოვნებს, რომლებიც ასახულია შემდეგ დოკუმენტებსა და განკარგულებებში:

- The World Bank Operations Manual
- OP/BP 4.12 Involuntary Resettlement:
- <http://Inweb18.worldbank.org/ESSD/sdvext.nsf/52ByDocName/InvoluntaryRese>
- OPN 11.03 Management of Cultural Property in Bank-financed Projects:
- <http://Inweb18.worldbank.org/ESSD/sdvext.nsf/52ByDocName/CulturalProperty>
- The World Bank Procedures on Information Disclosure
- <http://www1.worldbank.org/operations/disclosure/>

ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტები და პროცედურები უნდა განიხილებოდეს, როგორც აუცილებელი მექანიზმები აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების მთავარი საავტომობილო გზის იგოეთ-სვენეთის მონაკვეთის სარეაბილიტაციო პროექტის განსახორციელებლად. პროექტის განხორციელების პროცესში მსოფლიო ბანკის პოლიტიკის ჩარჩოებში არსებული სპეციალური დირექტივების საფუძველზე გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

- განსახვაგებები საქართველოს კანონმდებლობასთან
- გარემოს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა
- ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების სოციალური უსაფრთხოების ასპექტები

მსოფლიო ბანკის სტრატეგიის მიხედვით (WB OP 4.12) იქ, სადაც ეს შესაძლებელია, არანებაყოფილობითი განსახლება თავიდან უნდა იქნას აცილებული, ხოლო იქ, სადაც ეს გარდაუვალია, შემდეგი ზომები უნდა იყოს მიღებული:

- ადგილნაცვალი პირების მონაწილეობა პროექტის განხორციელებაში
- ადგილნაცვალი პირების მონაწილეობა განსახლების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში
- ხელშეწყობა მათი ძალისხმევით, რათა აღიდგინონ, სულ მცირე, ის ცხოვრების სტანდარტი და შემოსავლები, რაც გააჩნდათ განსახლებამდე
- საკომპენსაციო ზომები გატარებული და დასრულებული უნდა იყოს კონკრეტულ მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

მსოფლიო ბანკის პროცედურების (WB OP 4.12) მიხედვით, კულტურულ საკუთრებაში შედის როგორც წინა თაობების დანატოვარი კულტურული მემკვიდრეობა, ასევე უნიკალური ბუნებრივი ძეგლები. მსოფლიო ბანკი აფინანსებს მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტით მოცულ არეში კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

4.3. საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის განსახლების სამოქმედო პოლიტიკის შორის არსებული განსხვავებანი და მათი გადალახვის ზომები

საზოგადოდ, საქართველოს კანონმდებლობა შეესატყვისება მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკის მიდგომებს. საქართველოს კანონმდებლობა და მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკის მიდგომები შეუსაბამობაში მოდის ერთმანეთთან შემდეგ პუნქტებში:

- საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კომპენსაციას მათთვის, ვისაც საკუთარი აქტივები არ აქვს რეგისტრირებული სახელმწიფო რეესტრში. მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კომპენსაციის თანხა გაანგარიშებული უნდა იყოს საბაზრო ფასებისა და განსახლების ღირებულების საფუძველზე. ამავდროს, მიწისაგან განსხვავებით ხდება კომპენსაციების გაცემა დაკარგულ აქტივებზე (მოსავლის დაკარგვა ან კომერციული საქმიანობის შეწყვეტა). ასე რომ მათ, ვისაც არ გააჩნია მკაფიო უფლება დაკავებულ მიწაზე, მაინც ექვემდებარებიან კომპენსაციას.
- საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განსახლების დაგეგმვის პროცესებსა და სპეციალურ მექანიზმებს იმ სახით, როგორც ისინი აღწერილია მსოფლიო ბანკის (WB OP4.12) დირექტივაში. იგი აგრეთვე არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი განხილვისა და კონსულტაციების ჩატარების პროცედურებს.
- საქართველოს კანონში “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ” შეტანილი უკანასკნელი შესწორება (2007 წლის 11 ივლისი, მე-7 მუხლი) პირდაპირ მიუთითებს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვლო საკომპენსაციო თანხის გადახდას არ ექვემდებარებიან სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომლებიც მოქცეულნი არ არიან სარეკრეაციო ტერიტორიების, აგრეთვე ქ.თბილისის და ქ.ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

პირველ და მესამე შემთხვევაში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობრივი დებულებების არსებობითაა განპირობებული, საკონფლიქტო სიტუაცია უნდა გადაწყდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფთა სასარგებლოდ. მეორე საკითხს უნდა მივუდგეთ იმ თვალსაზრისით, რომ რაც კანონით აკრძალული არაა, დაშვებულია. კეთილი ნების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული განსხვავებები არ არიან დაუძლეველი ხასიათის და შეიძლება გადაწყვეტილ იქნას საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის შეთანხმებების ფარგლებში, რათა განსახორციელებელი პროექტი არ გახდეს მისი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირთათვის ეკონომიკური დანაკარგებისა და საარსებო წყაროების რღვევის მიზეზი.

5. გასაჩივრება და ზარალის ანაზღაურების მექანიზმები

იმისათვის, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს საშუალება მიეცეთ იჩივლონ მიწასა და სხვა აქტივებზე კომპენსაციის გარშემო მიღებულ არასასურველი გადაწყვეტილებების, ქმედებების და საქმიანობისა გამო იმოქმედებს გასაჩივრების მექანიზმი. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები მიიღებენ სრულ ინფორმაციას მათი უფლებების და საჩივრის აღძვრის პროცედურების შესახებ იმ მიზნით, რომ შეძლონ თავიანთი პრეტენზიების სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით წარდგენა კონსულტაციების, გამოკითხვისა და კომპენსაციების გაცემის პერიოდში. მაგრამ იმისათვის, რომ ავირიდოთ საჩივრის აღძვრისა და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი და ფორმალური პროცედურების ლოდინი, პირველ რიგში უნდა ვეცადოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ეს საჩივრები. ამის მიღწევა შეიძლება გსგ-ს მომზადებისა და განხორციელების პერიოდში სრული გახსნილობისა და მათში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირების მონაწილეობის ხარჯზე. ანალოგიურად, გარკვეული კონსულტაციები და საინფორმაციო საქმიანობა უნდა ჩატარდეს, რათა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, თემი და ადგილობრივი ადმინისტრაცია გათვითცნობიერებული იყოს გსგ-სა და მისი შედეგების შესახებ.

6. კონსულტაციები, თანამონაწილეობის მიღობები, ინფორმაციის გავრცელებისა და განხილვის მოთხოვნები

6.1. პროექტით დაინტერესებული წრეების იდენტიფიკაცია

მიწის შესყიდვა და განსახლება წინ უსწრებს სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოების დაწყებას. იმაში დასარწმუნებლად, რომ დაინტერესებული მხარეები იცნობენ იგოეთი — სვენეთის გზის სარეალიზაციო განსახლების სტრატეგიას უნდა ჩატარდეს კომპლექსური საინფორმაციო კამპანია და შესრულდეს საზოგადოებრივი კონსულტაციების პროგრამა. უპირველეს ყოვლისა წინამდებარე გსგ-ით დაინტერესებულ მხარეებს მიეკუთვნებიან გზის უფლების საჭიროების სფეროში მოქცეული გზითა და გზისპირით არაოფიციალურად მოსარგებლენი და მათი ოჯახის წევრები, გზის ნაპირას მდებარე მინებისა და შენობების მფლობელები, რომელთაც შეეხებათ არსებული გზის სარეალიზაციოდ და გასაფართოებლად საჭირო გზის უფლების მოპოვება და აგრეთვე კერძო კონტრაქტორები, რომლებმაც უნდა ჩაატარონ სამოქალაქო მშენებლობა. მეორე რიგის დაინტერესებულ მხარეებს მიეკუთვნებიან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტი, იმ სოფლებისა და რაიონების ადმინისტრაცია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებზეც გაივლის გზის საბოლოო მოხაზულობა, საჯარო რეესტრი, ბენეფიციარი თემები და მსოფლიო ბანკი. დაინტერესებული წრეების თვალსაზრისი და რეკომენდაციები სრულად იქნება გათვალისწინებული გსგ-ს განხორციელების დროს..

6.2. ინფორმაციის გავრცელება, მონაწილეობა, კონსულტაციები და განხილვა

გსგ-ს მომზადების პროცესში ჩატარდა დისკუსიები პირველი რიგის დაინტერესებულ მხარეებთან (მიწის მესაკუთრეებთან, მოვაჭრეებთან და ბიზნეს-ოპერატორებთან) პროექტის არსისა და დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე. დანართი 3-ში მოტანილია საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები, ხოლო დანართში 4 - საზოგადოებისთვის მიწოდებული საინფორმაციო მასალა.

1. საწყისი კონსულტაციებისა და ინფორმაციის გავრცელების საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტის ტექნიკურ კონსულტანტსა და გსგ/გზმ-ს კონსულტანტს საშუალება მიეცათ: (ა) მორიდებოდნენ კრიტიკულ ადგილებს და გზის მოხაზულობის კორექტირების ხარჯზე მოეხდინათ განსახლების მინიმუმირება, (ბ) მინიმუმამდე დაეყვანათ საჩივრებით გამოწვეული ქვეპროექტის გადადების რისკები, (გ) პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვისა და განსახლების პროგრამას მისცეს გასანვითარებადი პოგრამის სახე.

ჩატარებულ შეხვედრებში მონაწილე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, სათემო ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები დაეთანხმნენ პროექტის მიერ მინებისა და აქტივების/საკუთრების შესყიდვას, როგორც გზის სარეალიზაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებელ პირობას.

ამავე დროს, კონსულტაციების პროცესში წამოიჭრა მთელი რიგი საკითხებისა.

კერძოდ, ხაზი გაესვა პრობლემებს, რომელთაც რესპოდენტთა აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს:

- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი საკუთრებისა და აქტივების სამართლიანი და დაუყოვნებელი კომპენსაცია,
- მშენებლობასა და გაუმჯობესებულ მოძრაობასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების პრობლემებისადმი ყურადღების გამახვილება,
- კომუნალურ სამსახურებზე გავლენა, თუ მთლიანად თავიდან აცილებული არა, მინიმუმირებული მაინც უნდა იყოს. და თუ ეს გარდაუვალია, შეკეთება და რეაბილიტაცია დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს.
- კულტურული და ისტორიული ადგილებისა და ძეგლების დაცვა
- გარანტირებული უნდა იყოს გზის გადაკვეთის საშუალება როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდეგ.

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური გამჭვირვალობა და უზრუნველყოფილი საზოგადოების მონაწილეობა გსგ-ს განხორციელების პროცესში, გორისა და კასპის რაიონების საზოგადოებრიობას მიენოდებათ სრული ინფორმაცია გსგ-ს საბოლოო ვერსიის შესახებ. კერძოდ, გსგ-ს საბოლოო ვარიანტი მიენოდებათ გორისა და კასპის რაიონების ადმინისტრაციებს და, აგრეთვე, გავრცელდება ინტერნეტის მეშვეობით.

7. განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო ზომები

ამ პროექტით გათვალისწინებული მიწის შესყიდვები და განსახლება უნდა გახორციელდეს კომპენსაციების ადექვატურობისა და საკომპენსაციო ზომების ჩარჩოების საფუძველზე საქართველოს კანონებისა და ინსტრუქციების და მსოფლიო ბანკის არანებაყოფილობითი განსახლების პოლიტიკის (OP 4.12) დოკუმენტის შესაბამისად.

7.1. საკომპენსაციო უფლებების მატრიცა და საკომპენსაციო ზომები

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის მიწის, სახლების და შემოსავლების დაკარგვის საკომპენსაციო გადასახადები და სარეაბილიტაციო სუბსიდიები ითვალისწინებს მიწის დროებითი ან მუდმივი დაკარგვის, შენობა-ნაგებობების, მოსავლისა და ნარგავების დაკარგვის ანაზღაურებას და ბიზნესშემოსავლების დანაკარგების კომპენსაციას, რომელიც ემყარება საგადასახადო დეკლარაციას და/ან ერთდროულად გადახდილ თანხებს. საკომპენსაციო უფლებების მატრიცის ცხრილი 6 ასახავს ამ დეტალებს. ეს პუნქტები შემდეგია:

- სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ზეგავლენა. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებსაც გააჩნიათ მიწაზე კანონიერი უფლება კომპენსაციას მიიღებენ ფულადი სახსრებით ანაზღაურებით არსებული საბაზრო შეფასებების საფუძველზე.
- პროექტის ზეგავლენით გამოწვეული მძიმე დანაკარგები. თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი კარგავს შემოსავლის ან მიწის 50%-ზე მეტს, სტანდარტული მოსავლის/ნარგავების კომპენსაციის გარდა სურვილის შემთხვევაში უფლება ექნება მოითხოვოს დაკარგული მიწის ნაკვეთის ექვივალენტურ ნაკვეთის მიღება თუ კი ეს შესაძლებელი იქნება.
- საკარმიდამო (“სასოფლო-სამეურნეო მიწა საცხოვრებელი სახლით”) მიწაზე ზეგავლენა. კანონიერ მიწის მესაკუთრეზე კომპენსაცია გაიცემა ფულადი სახსრებით საბაზრო ფასებში განსახლების ნორმების შესაბამისად, გარიგების ფასისა და საამორტიზაციო ხარჯების გადახდის გარეშე.
- არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ზეგავლენა. კანონიერ მიწის მესაკუთრეზე კომპენსაცია გაიცემა ფულადი სახსრებით საბაზრო ფასებში განსახლების ნორმების შესაბამისად, გარიგების ფასისა და საამორტიზაციო ხარჯების გადახდის გარეშე.
- სახლები და შენობა-ნაგებობები. ამ აქტივებზე კომპენსაციები გაიცემა ადგილმონაცვლეობის ღირებულების შეფასების საფუძველზე საამორტიზაციო ანარიცხების და ნარჩენი საშენი მასალების გადახდის გარეშე.
- ნარგავები. ფულადი კომპენსაცია გაიცემა დადგენილი ნორმების შესაბამისად
- მოსავალი. ამ პუნქტის მიხედვით კომპენსაციის გაცემა არ მოხდება თუ მოსავლის აღებამდე რჩება 60 დღეზე მეტი.
- ბიზნეს-დანაკარგი კომერციული საქმიანობის მეპატრონეს ეკუთვნის კომპენსაცია ანალოგიური ბიზნესის საშუალო თვიური შემოსავლის ოდენობით ან ფაქტობრივი

თვიური შემოსავლის მიხედვით - თუ ეს დასტურდება წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაციით. თანხა გაიცემა სამი თვის კომპენსაციის ოდენობით

- ბიზნესში მომუშავენი და დაქირავებული პერსონალი. მათი ხელფასის ანაზღაურება მოხდება ბიზნესის შეჩერების პერიოდში არაუმეტეს 3 თვის საგადასახადო დეკლარაციით დადასტურებული ხელფასის ოდენობით ან 3 თვის ანალოგიური სამუშაოს-თვის ხელფასის ოდენობით.
- საზოგადოებრივი სამსახურების ნაგებობები/სტრუქტურები. თუ მათი დაზიანების თავიდან აცილება შეუძლებელია, მაშინ ისინი მთლიანად უნდა იყვნენ გადატანილი ან აღდგენილი, რათა შეასრულონ თავიანთი პროექტამდელი ფუნქციები.
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი დროებითი ზეგავლენები. აქ ძირითადი პრობლემაა მოძრაობის შემოვლით წარმართვით და მარშრუტების მიმართულების ცვლით გამოწვეული ზეგავლენები. მათ მიმართ მიღებული იქნება შემარბილებელი ზომები. სამოქალაქო პროექტი ითვალისწინებს, რომ კონტრაქტორს ეკისრება პასუხისმგებლობა გზის რეზერვის საზღვრებს გარეთ სამშენებლო ბანაკებისათვის, ოფისებისათვის, გრუნტის რეზერვისათვის, მასალების დასაწყობებისა და გადასამუშავებელი ადგილებისათვის, სამშენებლო მასალებისა და აღჭურვილობის გადასაზიდი გზებისათვის და საბუქსირო ტრასებისათვის აუცილებელი მინის დროებით საკუთრებაში აღება და შემდგომ მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება. კონტრაქტორი შეარჩევს საჭირო მინის ნაკვეთებს და მოელაპარაკება მფლობელს ნაკვეთის დროებითი დაკავების თაობაზე. მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში კონტრაქტორს მოეთხოვება სხვა ნაკვეთის შერჩევა და მოლაპარაკების დაწყება ახალი შეთანხმების პირობებზე. მფლობელის ნებართვის გარეშე მინის დროებითი მიზნებისათვის დაკავება დაუშვებელია. სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტში მითითებული იქნება, რომ გზის/ხიდის რეაბილიტაციის/მშენებლობის პროცესში კონტრაქტორი პასუხისმგებელია მიიღოს ზომები არსებული სატრანსპორტო ნაკადის შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად. ეს ზომები მოიცავს: (i) გზის ცალ მხარეს ერთ ზოლზე მოძრაობის ორგანიზაციას, ვიდრე მეორე მხარეს სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, (ii) გზის რეზერვის ფარგლებში შემოვლითი გზების მშენებლობას და მათ მოვლას, (iii) მოძრაობის ნაკადის მიმართვას არსებულ პარალელურ გზებზე და ამ გზების მოვლას. გზის რეზერვის მიღმა არავითარი მინა არ იქნება მოთხოვნილი შემოვლითი გზების გასაყვანად. კონტრაქტორი ვალდებული იქნება მიიღოს ეგსგდ-ის თანხმობა სამოქალაქო მშენებლობის პროცესში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის შესახებ წამოყენებულ ყველა წინადადებაზე. მას აგრეთვე მოეთხოვება მოუაროს ყველა დროებით შემოვლით გზას და ასევე იმ არსებულ გზებს, რომელზეც მთავარი გზიდან დროებით იქნება გადაყვანილი სატრანსპორტო ნაკადი.

კომპენსაციის უფლება შემოისაზღვრება მოკვეთის თარიღით, რომელიც განისაზღვრება, როგორც აღწერის დაწყების დღე. სწორედ ამ თარიღით იქნება იდენტიფიცირებული ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი და აქტივი და დადგენილი ზემოქმედების ხასიათი. პროექტით მოცულ მინაზე ამ თარიღის შემდეგ განხორციელებული მინის საკუთრებრივი სტატუსის ნებისმიერი ცვლილება ან მოდიფიკაცია, აგრეთვე ინვენტარიზაციის დროს მიღებული ღირებულებითი შეფასებების ნებისმიერი ცვლილება არ ჩაითვლება პროექტის ზემოქმედებით გამოწვეულად.

მოკვეთის თარიღის შემდეგ ზემოქმედების ქვეშ მყოფ მინაზე დასახლებულ პირებს არ ექნებათ კომპენსაციის მიღების უფლება და საკუთრების არანაირი სახეცვლილება არ იქნება მხედველობაში მიღებული. ამ უკანონო მობინადრეებს მიეცემათ რჩევა (კონფისკაციის, ჯარიმისა და სანქციების მუქარის გარეშე) გაანთავისუფლონ დაკავებული ადგილი

და დაშალონ ყველა ნაგებობა, რომელიც შეიძლება აეგოთ მოკვეთის თარიღის შემდეგ, დაცლაზე თანხმობის უკანასკნელ ვადამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იძულებით იქნებიან გამოსახლებული.

7.2. გენდერული გავლენები და შემარბილებელი ზომები

საზოგადოდ ქალები შეადგენენ პროექტით მოცულ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს. ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ სივრცეზე და ჩართულნი არიან სხვადასხვა შემოსავლის მომტან საქმიანობაში სასოფლო-სამეურნეო და საბაზრო სექტორებში.

პროექტმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ მოტანილ სარგებლის განაწილებაში ქალების მონაწილეობა (ჩართვა) იმ მიზნით, რომ მათ მიიღონ საჭირო კომპენსაციები, როგორც უშუალოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირებმა. გამოკითხვის საფუძველზე მოხდება ქალების მიერ მართული შინამეურნეობების იდენტიფიკაცია და ისინი შეყვანილი იქნებიან გსგ-ს ფარგლებში განსახორციელებელი საკომპენსაციო და განსახლების ზომების გატარებისას შეღავათების მიმღებთა რიცხვში. ანალოგიურად, პროექტის რეალიზაციის დროს სამუშაო ვაკანსიების გამოჩენის შემთხვევაში გარანტირებული უნდა იყოს ქალების მიმართ სამართლიანი მოპყრობა სამუშაოზე მიღების კუთხით. მაგრამ ასეთ შემთხვევებში პრიორიტეტი ქალების მიერ მართული შინამეურნეობებს მიეცემა.

ცხრილი ნ: საკომპენსაციო უფლებების მატრიცა

	დანაკარგის სახე	გამოყენება	მინაზე უფლების მქონე პირი ¹	საკომპენსაციო სტრატეგია	სარეალიზაციო საკითხები	პასუხისმგებელი ორგანიზაცია
1	კერძო მიწის სამუდამოდ დაკარგვა	სასოფლო-სამეურნეო	მინაზე უფლების მქონე მესაკუთრეები,	პუქმ პირები, მინაზე უფლებით კომპენსაციას მიიღებენ ფულადი სახსრებით ტრანსაქციის ხარჯების გარეშე	.საჯარო რეესტრში გაუტარებული დოკუმენტების მქონე მიწის მესაკუთრეს ე.გ.ს.გ.დ. გაუწევს დახმარებას დოკუმენტების მომზადებაში	ე.გ.ს.გ.დ
		არასასოფლო-სამეურნეო		მიწის კანონიერი მფლობელები კომპენსაციას მიიღებენ ფულადი სახსრებით საბაზრო ფასებში ტრანსაქციის ხარჯების გადახდის გარეშე.		
	საზოგადოებრივი მიწის სამუდამო დაკარგვა	მუნიციპალური და სახელმწიფო მიწა	რაიონი და სახელმწიფო	ე.გ.ს.გ.დ დააყენებს საკითხს მთავრობის/ადგილობრივი ადმინისტრაციის წინაშე პროექტის ფარგლებში მოქცეული მიწის გზის მშენებლობისათვის გამოყოფის შესახებ..	ეს საკითხი გადაწყდება სახელმწიფო ორგანოების მიერ	ე.გ.ს.გ.დ, რაიონის ადმინისტრაცია
2	ნაგებობების დაკარგვა	საცხოვრებელი, კომერციული და სხვა სახის	კანონიერი მესაკუთრეები.	კომპენსაცია გაიცემა ფულადი სახსრებით ადგილმონაცვლეობის ტარიფით ამორტიზაციის, და ტრანსაქციის ხარჯების გადახდის გარეშე მიუხედავად მიწის სარეგისტრაციო სტატუსისა.	კასპის მუნიციპალიტეტის მოვალეობაა პუქმ კოსკების/ჯინზურების განთავსება-გადააგვილება	ე.გ.ს.გ.დ, რაიონის ადმინისტრაცია
		საზოგადოებრივი ნაგებობები და კომუნალური მეურნეობის ობიექტები	რაიონის ადმინისტრაცია	საზოგადოებრივ ნაგებობას ან აღჭურვილობას თუ გარდაუვალად მიეყენება ზარალი, მაშინ მოხდება მათი გადაადგილება და აღდგენა, რათა დაუბრუნდეთ პროექტამდელი სახე.		

3	ნარკოტიკების, მოსავლის დაკარგვა	მოსავალი, ხეები	მესაკუთრეები/მინის მოიჯარეები	თუ სეზონური მოსავლის აღებამდე 60 დღე-საუბრის აღება შეუძლებელია, მოსავლის (ან მოსავლის ნილის) საკომპენსაციოდ გაიცემა მისი საბაზრო ფასის ექვივალენტური თანხა. ფულადი კომპენსაცია მრავალწლიან მცენარეებზე და ხეებზე გამოითვლება წლიური სუფთა მოსავლის საბაზრო ფასის გამრავლებით მცენარის მსხმოიარობის წლების რაოდენობაზე გამრავლებით.	კომპენსაცია არ გაიცემა ადგილობრივ მოსავალზე პ.პ.მ. ხეებისა და მრავალწლიანი მცენარეების კომპენსაცია მოხდება პროექტის სტრატეგიის თანახმად, ხის მასალა რჩება პატრონს.	ე.გ.ს.გ.დ-ს გ.გ.ს და სამოქალაქო კონტრაქტორი
4	ბიზნესისა და შემოსავლების დაკარგვა		მესაკუთრე/დასაქმებული	კომპენსაცია გაიცემა 3 თვის წმინდა მოგების საგადასახადო დეკლარაციით დადასტურებული ან პუბლიკაციაში მსგავსი ბიზნესებისთვის არსებული ოდენობით. ხელფასის ანაზღაურება მოხდება 3 თვის განმავლობაში საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე ან პუბლიკაციაში მსგავსი სამუშაოსთვის არსებული ხელფასების ოდენობით	ე.გ.ს.გ.დ ჩაატარებს მონიტორინგს შემოქმედების ქვეშ მოქცეულთა მიმდინარე მდგომარეობის თვალყურის სადევნელად.	რაიონის ადმინისტრაცია და ე.გ.ს.გ.დ
5	დროებითი შეზღუდვები	სხვადასხვა სახეები	საზოგადოებრივი	მოძრაობის შემოვლით წარმართვით და მარშრუტების მიმართულების ცვლით გამოწვეული დროებითი შეზღუდვები მეტად ყურადსაღებია. მათ მიმართ მიღებული იქნება შემარბილებელი ზომები. სამოქალაქო პროექტი ითვალისწინებს, რომ კონტრაქტორს უნდა უზრუნველყოს გზის რეზერვის საზღვრებს გარეთ სამშენებლო ბანაკებისათვის, ოფისებისათვის, (გრუნტის) რეზერვისათვის, მასალების დასაწყობებისა და გადასამუშავებელი ადგილებისათვის, სამშენებლო მასალებისა და ალტერნატიული ენერჯის გადამამუშავებელი ადგილებისათვის და საბუქსირო ტრასებისათვის აუცილებელი მინის დროებითი საკუთრებაში აღება და შემდგომ მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება. კონტრაქტორი შეარჩევს საჭირო მინის ნაკვეთებს და მოლაპარაკება მფლობელს ნაკვეთის დროებითი დაკავების თაობაზე. მოლაპარაკების ნარეჟმატებლობის შემთხვევაში კონტრაქტორს მოეთხოვება სხვა (ალტერნატიული) ნაკვეთის შერჩევა და მოლაპარაკების დაწყება ახალი შეთანხმების პირობებზე. მფლობელის ნებართვის გარეშე მინის დროებითი მიწებისათვის დაკავება დაუშვებელია. სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტში მითითებული იქნება, რომ გზის/ხიდის რეაბილიტაციის/მშენებლობის პროცესში კონტრაქტორი უზრუნველყოს მთლიანად არსებული სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის უზრუნველყოფა. ეს ზომები მოიცავს: (ი) გზის ცალ მხარეს ერთ ზოლზე მოძრაობის ორგანიზაციას, ვიდრე მეორე მხარეს სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, (იი) გზის რეზერვის ფარგლებში შემოვლითი გზების მშენებლობას და მათ მოვლას, (იიი) მოძრაობის ნაკადის მიმართვას არსებულ პარალელურ გზებზე და ამ გზების მოვლას. გზის რეზერვის მიღება არავითარი მინა არ იქნება საჭირო (მოთხოვნილი) შემოვლითი გზების გასაყვანად. კონტრაქტორი ვალდებული იქნება მიიღოს ე.გ.ს.გ.დ-ის თანხმობა სამოქალაქო მშენებლობის პროცესში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის შესახებ ნამოყენებულ ყველა წინადადებაზე. მას აგრეთვე მოეთხოვება მოუაროს ყველა დროებით შემოვლით გზას და ასევე იმ არსებულ გზებს, რომელზეც მთავარი გზიდან (დროებით) იქნება გადაყვანილი სატრანსპორტო ნაკადი.	ე.გ.ს.გ.დ და რაიონის ადმინისტრაცია ჩაატარებენ მონიტორინგს, რათა უზრუნველყონ სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტორის მიერ დროებითი შეზღუდვების შემარბილებელი ზომების გატარება.	რაიონის ადმინისტრაცია და ე.გ.ს.გ.დ

8. გსგ-ს განხორციელება და ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობა

8.1. სარეალიზაციო საქმიანობა და განრიგი

ძირითადი სამუშაოები, რომელიც უნდა ჩატარდეს განსახლების გეგმის განსახორციელებლად, შემდეგია:

(i) გსგ-ს საბოლოო ვარიანტის მომზადება

- გსგ-ს დამტკიცების პროცესი. კონსულტანტი გსგ-ს საბოლოო ვარიანტს წარუდგენს ეგსგდ-ს, რომელიც შეისწავლის გსგ-ს განხორციელების პროცესს საბიუჯეტო მოთხოვნილებების ჩათვლით.
- საბიუჯეტო ასიგნებანი და ნებართვები. დამტკიცებული გსგ-ს შესაბამისად, ეგსგდ განხორციელებს ზომებს საკომპენსაციო ასიგნებათა გამოსაყოფად ბიუჯეტიდან.
- გსგ-ს განხორციელების მექანიზმის მომზადება. გსგ-ს უშუალო განხორციელების მოსამზადებლად შემუშავებული უნდა იყოს საორგანიზაციო და სარეალიზაციო მექანიზმები. რადგან ეგსგდ-ში არსებობს გსგ-ს მომზადებისა და საქმიანობის კოორდინირების ჯგუფი, დამტკიცდება თუ არა E-60 გზატკეცილის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის გსგ, ამ პერსონალის მოვალეობები განაწილდება ისე, რომ განხორციელდეს სათანადო ქმედებები რათა დადგენილი კომპენსაციები ნამდვილად იქნება გადახდილი. კერძოდ, უნდა განხორციელდეს კომპენსაციის გადახდის მექანიზმის დაზუსტება:
- პუბლიკის მიერ პირადი საბანკო ანგარიშების გახსნა და სახეზე არმყოფთათვის სადეპოზიტო ანგარიშების გახსნა
- შეთანხმება შენობა/ნაგებობის შენაცვლების მექანიზმზე, თუ ფულადი სახსრები არ არის კომპენსაციის საუკეთესო სახე პუბლიკისათვის. ამ შემთხვევაში შე შესწავლილი უნდა იყოს მისაღებ ადგილას ანალოგიური ნაგებობის აშენების შესაძლებლობა.
- შეთანხმება მიწის შენაცვლების მექანიზმზე, თუ - ფულადი სახსრები არ არის კომპენსაციის საუკეთესო სახე პუბლიკისათვის. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვა მიწის ნაკვეთის გამოყოფა თუ კი ეს შესაძლებელია.

2007 წლის მაისში ეგსგდ-ს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება გზების მშენებლობის, რეკონსტრუქცია-მოდერნიზების დროს გზის დერეფანში არსებული საკუთრების შესწავლის, კომპენსაციების დადგენის და ქონების გამოსყიდვის საკითხებზე კომისიის და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის ვალდებულებას წარმოადგენს რეაბილიტაციისთვის შერჩეულ მონაკვეთებზე გზის დერეფანში არსებული მოთხოვნების შესწავლა და დადგენა, მიწის შექმნის პროცედურების განსაზღვრა და განხორციელების შესახებ კომისიისთვის რეკომენდაციების წარდგენა, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფი პირველ რიგში ვალდებულია უზრუნველყოს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება მსოფლიო ბანკის მითითებების მოხედვით.

(ii) გსგ-ს განხორციელება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განმარტებით (ეგს ნერილი №21/109/7-7) საავტომობილო გზათა დეპარტამენტი უფლებამოსილია განხორციელოს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ27(0,1)-კმ43(0,6), კმ43-კმ80 და კმ80-

კმ95 მონაკვეთებზე გზების მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების, ნაგებობების და სხვა სახის ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოსყიდვა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირება. ამ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ეგსგდ-ს მიერ შექმნილია (ეგსგდ ბრძანება №40,03/05/2007) საკუთრების გამოსყიდვის კომისია (გსგ განხორციელებელი საორგანიზაციონ ერთეული) და მუშა ჯგუფი (მოლაპარაკებებისა და რატიფიკაციის კომისია).

მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე საკუთრების გამოსყიდვის კომისიას და მუშა ჯგუფს განხორციელებული აქვთ, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ27(0,1)-კმ43(0,6), კმ43-კმ55 მონაკვეთების სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში გამსახლების სამოქმედო გეგმათა რეალიზაცია. საკუთრების გამოსყიდვის კომისია და მუშა ჯგუფი დაკომპლექტებულია გზათა მშენებლობის, ეკონომიკისა და სამართლის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით, რომლების ამავდროულად ეგსგდ-ს პასუხისმგებელი მუშაკები არიან. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების საკითხებში ამ სპეციალისტების გამოცდილება არ შემოიფარგლება ზემოთმითითებული პროექტებით. კერძოდ, 2006-2007 წლებში მათ მიერ აგრეთვე განხორციელებულია სხვადასხვა კატეგორიის გზების რეაბილიტაცია-მშენებლობის რიგი პროექტებისა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანი გარემოებაა აგრეთვე, რომ საჭიროების შემთხვევაში, ეგსგდ-ს ხელმძღვანელობასთან და კომისიასთან შეთანხმებით, ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მუშა ჯგუფის შემადგენლობა შესაძლებელია გაფართოვდეს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა მონაწილის ხარჯზე.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ27(0,1)-კმ43(0,6), კმ43-კმ55 მონაკვეთების სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში მუშა ჯგუფს მოუწია სხვადასხვა სახის ქონების შესყიდვების განხორციელება 50-ზე მეტი მესაკუთრისგან, ამასთან მხოლოდ ერთ შემთხვევაში გახდა აუცილებელი ექსპროპრიაციის პროცედურის აღძვრა.

ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის განხორციელების პროცესში მუშა ჯგუფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მოახდინოს კონტრაქტორის მიერ მიწის გამიჯვნისა და დემარკაციის შემოწმება, აგრეთვე განხორციელოს პროექტის შესაძლო ცვლილებებით განპირობებული აზომვითი სამუშაოებისა და ინვენტარიზაციის მონაცემების კორექტირება. მუშა ჯგუფი თავის საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივ საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კონტაქტში. კერძოდ, მის მიერ განხორციელებულ ყველა პროცედურას ესწრება როგორც მესაკუთრე და მისი უახლოესი სამეზობლო, ასევე საკრებულოსა და რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

დამტკიცებული გსგ-ს და მიმდინარე კანონმდებლობის შესაბამისად, მუშა ჯგუფი ახორციელებს ყველა საჭირო დოკუმენტაციის მოგროვებას (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადემარკაციო აქტი, აუდიტორული დასკვნა, მესაკუთრის პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი, საბანკო რეკვიზიტები და ა.შ.), რომლებიც წარედგინება კომისიას. ამ დოკუმენტაციის საფუძველზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას კომპენსაციის გაცემის თაობაზე და მესაკუთრის თანხმობის პირობებში მასთან ფორმდება ხელშეკრულება ნასყიდობის შესახებ. მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი თანხა გადაირიცხება მესაკუთრის პირად საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც ეგსგდ-ს მიერ ხორციელდება გზის უფლების მოპოვება. აღწერილი სქემით განხორციელებული პროცედურები მუშა ჯგუფის მიერ აპრობირებულ იქნა სხვადასხვა პროექტში, კერძოდ მსოფლიო ბანკის კრედიტით განხორციელებულ, ალაიანი-იგოეთის მონაკვეთზე, და აჩვენეს თავისი

ეფექტურობა.

- **პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტის გრაფიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.** სამოქალაქო მშენებლობის დაწყების წინ ადგილობრივ საზოგადოებას წინასწარ უნდა მიენოდოს ინფორმაცია ჩასატარებელი სამუშაოების გრაფიკის, მოსალოდნელი ზეგავლენებისა და მათი შემარბილებელი ზომების, მინის ჩამორთმევისა და კომპენსაციების გაცემის დაწყების ვადების შესახებ.
- **პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ნაკვეთების გამიჯვნა (დემარკაცია).**

მშენებელი კონტრაქტორის და ეგსგდ-ს ჯგუფის ერთობლივი მოქმედებით მოხდება პუქმ ნაკვეთების დემარკაცია გზის მოხაზულობის საბოლოო ვარიანტზე და შეთანხმებული გსგ-ს მონაცემებზე დაყრდნობით. დემარკაცია მოხდება თითოეული ნაკვეთის მესაკუთრის, მისი უშუალო მომიჯნავე მეზობლების და რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანდაცნრებით.

გსგ-ს მომზადების პროცესში, განსაკუთრებით კი წინასწარი აზომვა-დემარკაციის და შესწავლის/გამოკითხვის სტადიაზე, ხდებოდა თითოეულ პუქმ პირთან/მესაკუთრესთან შეხვედრა და გზის კორიდორის ზემოქმედების ფარგლების დაზუსტება (აზომვები, წინასწარი დემარკაცია, პუქმ აქტივების ზუსტი ინვენტარიზაცია - ნაგებობები, ხეები, და ა.შ.)

ინვენტარიზაციის პროცესს ესწრებოდნენ რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თითოეული პუქმ ნაკვეთისთვის მომზადდა საკადასტრო რუკა, ნახაზები და შეგროვდა თითოეულ ნაკვეთზე საკუთრების დამადასტურებელი ყველა არსებული დოკუმენტის ასლი. ყველა პუქმ საკრებულოსთვის შედგენილ იქნა მესაკუთრეთა სია. სიას ერთვის თითოეული ნაკვეთის აზომვის (და საკადასტრო რუკაზე დატანილ) შედეგებზე მესაკუთრის ხელმოწერით დადასტურებული თანხმობის ასლი, რომელსაც ასევე ხელმოწერით ადასტურებენ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ყველა ეს ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგენს წინასწარი დემარკაციის აქტს, რომელიც საფუძვლად დაედება მომდევნო/საბოლოო დემარკაციის ღონისძიებებს უკვე გსგ-ს განხორციელების სტადიაზე. ამის შემდეგ, დემარკირებული (გამიჯნული) ნაკვეთები, საკადასტრო რუკების საფუძველზე უნდა დარეგისტრირდეს შესაბამისი რაიონის სახელმწიფო რეესტრში. ინვენტარიზაციის ყველა მონაცემი და შესაბამისი საკადასტრო მასალით მოცემულია გსგ-ს მე-2 ტომში.

- **სარატიფიკაციო (მუშა) ჯგუფის მობილიზაცია.** განხორციელდება მუშა ჯგუფის მობილიზაცია და ჩატარდება საველე შეფასებები. აღნიშნული ჯგუფი მფლობელ პირთან, ეგსგდ-ს მიერ დაქირავებული აუდიტორული კომპანიის, რაიონული და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ამონმებს აღწერის, ნაკვეთის გამიჯვნის და აქტივების ინვენტარიზაციის გსგ-ს მონაცემების სისწორეს, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო გაუგებრობები.

საბოლოო დემარკაციის პროცესში ეგსგდ იყენებს კონსულტანტ-აუდიტორს რათა შედგეს გსგ-ში თითოეული პუქმ პირისთვის წარმოდგენილი ქონების და საბუთების/ჩანაწერების ოფიციალური შეფასების/აფასების/დაკანონების პროცედურა. ამ პროცედურის ჩატარების მოთხოვნა ასევე ასახულია ეგსგდ 2007 წლის მაისის ბრძანებულებაში გზების რეაბილიტაციის და მოდერნიზების ღონისძიებებთან დაკავშირებით კომისიის და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

(iii) მიწის შესყიდვის პროცედურა.

მიწის შესყიდვის და საგზაო კორიდორისთვის გადაცემის პროცესი მოითხოვს ხუთ ძირითად თანმიმდევრობით ეტაპს. ეს არის:

- პუბლიკ მესაკუთრეთა მიერ მიწაზე არსებული საკუთრების დადგენა;
- პუბლიკ ნაკვეთების რეგისტრაციაში გატარება საკუთრების დაკანონების მიზნით;
- მიწის შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება ეგსგდ-სა და პუბლიკ პირს შორის;
- გზის დერეფნისთვის საჭირო ნაკვეთების დემარკაცია და რეგისტრაცია
- კომპენსაციების გადახდა

ქვევით მოყვანილია ამ ეტაპების უფრო დეტალური განხილვა

- **საჯარო რეესტრისთვის დოკუმენტების მომზადება.**

განხორციელება საჯარო რეესტრში შესატანი მიწის დოკუმენტების მომზადება იმის საგარანტიოდ, რომ მიწის ნაკვეთზე გარიგება და მისი გაყიდვა/გასხვისება ოფიციალური და კანონიერია. ეგსგდ დაეხმარება მიწის მესაკუთრეს, რომლის ნაკვეთი ოფიციალურად არ არის გატარებული რეგისტრაციაში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის დოკუმენტების მომზადებაში რომლის საფუძველზეც მოხდება ნაკვეთის ოფიციალური რეგისტრაცია მესაკუთრეზე.

გსგ-ს განხორციელების პროცესში, ეგსგდ სამუშაო ჯგუფი გაუწევს უფასო კონსულტაციებს პუბლიკ პირებს თუ როგორ მოახდინონ მათი საკუთრების რეგისტრირება სახელმწიფო რეესტრში, და ასევე უფასოდ გადასცემს მათ რეგისტრაციისთვის საჭირო საკადასტრო რუკებს და ნახაზებს, რომელიც დამუშავდა გსგ-ს მომზადების სტადიაზე. პუბლიკ პირებს მიეცემა რჩევა თუ როგორ მიმართონ რეესტრს პირველადი რეგისტრაციისთვის და როგორ შეავსონ ყველა საბუთი მოთხოვნების შესაბამისად.

- **დასკვნითი მოლაპარაკებები კომპენსაციაზე და მიწის შესყიდვის ხელშეკრულების მომზადება.**

მუშა ჯგუფი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებთან ჩაატარებს მოლაპარაკებებს საბოლოო კომპენსაციის შესახებ. წარმატებული მოლაპარაკებების შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმდება და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც მოხდება კომპენსაციების გაცემა.

წარმატებული მოლაპარაკების შემთხვევაში, მუშა ჯგუფი აცნობებს ეგსგდ-ს მუდმივმოქმედ კომისიას მოლაპარაკებების წარმატებლობის შესახებ და მისცემს რეკომენდაციას განიხილოს საექსპროპრიაციო პროცედურები. ასეთ შემთხვევაში გადანყვეტილებას საექსპროპრიაციო პროცედურების დაწყების შესახებ იღებს ეგსგდ.

მიწის შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება და მისი გატარება საჯარო რეესტრში.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ეგსგდ სამუშაო ჯგუფი განხორციელებს პუბლიკ მიწების გამიჯვნას არსებული ნაკვეთებისგან, რაც აისახება თითოეული კონკრეტული ნაკვეთისთვის სადემარკაციო აქტის გაფორმებით. პუბლიკ ნაკვეთის ყოველი ასეთი შესყიდვა შესაბამისად უნდა გატარდეს საჯარო რეესტრში.

- **პუქმ პირებისათვის საბანკო ანგარიშის გახსნა.**

პუქმ პირები ხსნიან ინდივიდუალურ საბანკო ანგარიშებს მათთვის სასურველ ბანკებში და სასურველი ფორმით, ან პუქმ არყოფნის შემთხვევაში ეგსგდ ხსნის სადეპოზიტო ანგარიშებს და ახდენს კომპენსაციის თანხის დეპონირებას ამ ანგარიშებზე. ფულადი კომპენსაციის შემთხვევაში გადახდა წარმოებს საბანკო სისტემის მეშვეობით..

- **კომპენსაციის გადახდა.**

პუქმ პირსა და ეგსგდ-ს შორის ზემოქმედების მასშტაბისა და დონის, და ასევე კომპენსაციის შესახებ წარმატებული მოლაპარაკების შემთხვევაში ფორმდება ნოტარიალურად დამოწმებული (მოქმედი კანონმდებლობით დამოწმების უფლება აქვს საჯარო რეესტრსაც) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე საკომპენსაციო თანხა ირიცხება პუქმ პირის ინდივიდუალურ საბანკო ანგარიშზე. პუქმ და ეგსგდ შორის ურთიერთობას არეგულირებს სწორედ ეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

(iv) **საექსპროპრიაციო პროცედურები**

იმ შემთხვევაში, თუ ეგსგდ (მუდმივმოქმედი კომისიისა და მუშა ჯგუფის მეშვეობით) ვერ მიაღწევს შეთანხმებას პუქმ პირთან უძრავი ქონების შეძენის თაობაზე, ეგსგდ წამოიწყებს ექსპროპრიაციის პროცედურას, რომელიც განხორციელდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

ექსპროპრიაციის შემთხვევაში პროცედურა ანალოგიურია ალაიანი-იგოეთის მონაკვეთზე წარმოდგენილი პროცედურისა და უფრო დეტალურად აღწერილია დანართ №11-ში

(v) **მშენებლობის ეტაპი**

- **შეტყობინება, რომელიც მოუწოდებს პუქმ პირს, გაანთავისუფლოს საკუთრება.**

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ საკუთრებაზე საკომპენსაციო თანხის გაცემის ნებართვის მიღების შემდეგ ეგსგდ ოფიციალურად შეატყობინებს პუქმ პირებს საკუთრების განთავისუფლების აუცილებლობის თაობაზე საგზაო მშენებლობის დაწყების მიზნით და აძლევს უკანასკნელ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ საკუთრება დაექვემდებარება მთავრობის მიერ იძულებითი ჩამორთმევის.

- **ეგსგდ-ს/კონტრაქტორის მიერ გზის უფლების დასაკუთრება.**

კომპენსირებული საკუთრების განთავისუფლების ბოლო ვადის გასვლის შემდეგ პროექტი ფიზიკურად დაესაკუთრება მას.

- **მშენებლობის დაწყება.**

ამის შემდეგ კონტრაქტორი შეუდგება მშენებლობას.

(vi) **სადაო საკითხების მოწესრიგება**

კანონიერი საჩივრები და დავები უნდა გადაწყდნენ დაწესებული პროცედურების გამოყენებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია გსგ-ში და განხილულია პუქმ პირებთან.

განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი რომელიც მოყვანილია ცხრილში 7. უნდა შესაბამისობაში იყოს პროექტის განხორციელების გრაფიკთან. განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყოველგვარი საქმიანობა დასრულებული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კონკრეტულ მონაკვეთზე.

განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მოცემული გრაფიკი ითვალისწინებს შემდეგს:

- საკადასტრო და ტოპოგრაფიული კვლევების ჩასატარებლად და მიწის დოკუმენტაციის რეგისტრაციისათვის მოსამზადებლად საჭირო დროს
- საზოგადოების სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფისათვის საჭირო დროს
- მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის, და ასევე კომპენსაციების გაცემისათვის საჭირო დროს
- სასამართლო განჩინების უზრუნველსაყოფად და საექსპროპრიაციო საჩივრის აღძვრასთან დაკავშირებული პროცესუალური ქმედებების ჩასატარებლად საჭირო დროს
- სათანადო რესურსების მობილიზების შემთხვევაში ტიპიური საცხოვრებელი სახლის აშენებისა, შინამეურნეობის მონყოფისა და ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისათვის საჭირო დროს.

განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი კომპონენტების სინქრონიზაციის, წამოყენებული წინადადებების განხილვისა და დავების გადაწყვეტისათვის საჭირო დროს.

ცხრილი 7. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების

№	სამუშაო	თვეები											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1.	გსგ-ს მომზადება/ დასრულება												
1.1	საკონსულტაციო/სადემონსტრაციო სამუშაო გსგ-ს წინასწარ ვერსიაზე												
1.2	გსგ-ს საბოლოო ვარიანტის გადამოწმება და წარდგენა												
1.3	გსგ-ს დამტკიცება												
1.4	თანხების გამოყოფასა და მათი ჩარიცხვის მექანიზმის ორგანიზებაზე მუშაობა												
1.5.	გსგ-ს განხორციელების მექანიზმის მომზადება												
2.	გსგ-ს განხორციელება												
2.1	ინფორმაციის გავრცელება სამშენებლო სამუშაოებისა და მათი გრაფიკის შესახებ												
2.2	მუშა ჯგუფის მობილიზაცია და საკუთრების საველე შეფასების/შემოწმების/აუდიტის ჩატარება												
2.3	მიწის ნაკვეთების დოკუმენტაციის მომზადება საჯარო რეესტრში გასატარებლად												

2.4	დასკვნითი მოლაპარაკებები/შეთანხმებები მუშა ფაზაზე და პუბლიკაციებს შორის საბოლოო კომპენსაციის თაობაზე და ხელშეკრულებების მომზადება																	
2.5	პუბლიკაციების მიერ საბანკო ანგარიშის გახსნა, არყოფნის შემთხვევაში ეგსგდ მიერ დეპონირებული ანგარიშის გახსნა																	
2.6	ნაკვეთების გამიჯვნა																	
2.7	მიწის შესყიდვაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია																	
2.8	კომპენსაციების გაცემა																	
2.9	მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემთხვევაში ეგსგდ ინყებს საექსპროპრიაციო პროცედურას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად																	
3	მშენებლობის ეტაპი																	
3.1	პუბლიკაციებისთვის შეტყობინება ქონების შესყიდვაზე																	
3.2	გზის უფლების განხორციელება																	
3.3	მშენებლობის დაწყება																	
3.2	სადავო საკითხების მონესრიგება და მონიტორინგი																	

8.2. ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობა

8.2.1. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზათა დეპარტამენტი ეგსგდ (შემდგომში განსახლების მენეჯმენტის ორგანოდ (გმო) ნოდებული) პასუხისმგებელია განხორციელოს განსახლების გეგმა სამთავრობო დონეზე. განსახლების მენეჯმენტის ორგანო ასევე პასუხს აგებს განსახლების გეგმაში მითითებული სამუშაოების რეალიზაციასა და კოორდინაციაზე. იგი ზედამხედველობას უწევს კონტრაქტორის მიერ გზის მშენებლობის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს და უზრუნველყოფს გსგ-თან დაკავშირებული ზემოქმედებების (როგორც მუდმივის, ასევე დროებითის) კონტროლს ისე, როგორც მითითებულია განსახლების სამოქმედო გეგმაში.

8.2.2. სასამართლო

სასამართლო წარმოადგენს უკანასკნელ ინსტანციას გსგ-ს განხორციელების პროცესში წარმოქმნილი დავების გადასაჭრელად.

იმ შემთხვევაში, თუ ეგსგდ-სა და პუბლიკაციებს შორის მოლაპარაკება კერძო საკუთრების შესყიდვის თაობაზე წარუმატებლად დამთავრდა, არსებული კანონმდებლობით განპირობებული საექსპროპრიაციო მანდატით აღჭურვილი ეგსგდ მიმართავს სასამართლოს ექსპროპრიაციის მოთხოვნით. სასამართლო განჩინებისა და შემდგომი დადგენილი პროცედურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ ექსპროპრიაციის უფლებით აღჭურვილ ეგსგდ-ს უფლება ეძლევა დაეპატრონოს აღნიშნულ ქონებას.

ამის გარდა, იმ შემთხვევებში, როდესაც გსგ-ს განხორციელებასა და კომპენსაციებთან დაკავშირებული საჩივრები და დავები ვერ წყდება ვერცერთ დონეზე გსგ-ს დავებისა და ინტერესთა შეჯერების მექანიზმის საშუალებით, პზქმ პირს უფლება ეძლევა გადასცეს საქმე სასამართლოში, როგორც უკანასკნელ ინსტანციაში. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

8.2.3. გსგ-ს განხორციელებელი საორგანიზაციო ერთეული (ეგსგდ — ს მუდმივმოქმედი კომისია)

გსგ-ს განხორციელებელი საორგანიზაციო ერთეული პასუხისმგებელია განსახლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა საქმიანობაზე. მისი პასუხისმგებლობის სფეროში შედის მუშა ჯგუფის მუშაობაზე ზედამხედველობა. იგი უზრუნველყოფს გზის უფლების მოპოვებას. იგი იღებს გადაწყვეტილებებს კომპენსაციის გაცემის ან ექსპროპრიაციის შესახებ, რომელსაც ათანხმებს ეგსგდ-ს ხელმძღვანელობასთან. იგი აგრეთვე პასუხისმგებელია პზქმ პირებისათვის სათანადო კომპენსაციების გაცემაზე და მასზედ, რომ სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტორმა მიიღოს საჭირო ზომები დროებითი ზეგავლენებით გამოწვეული შედეგების შესარბილებლად.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკის თანახმად, საკრედიტო პროექტები, რომლებსაც მოსდევს მინის შესყიდვა და განსახლების საჭიროება, მოითხოვენ გულმოდგინე მონიტორინგსა და შეფასებას. იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტი განხორციელდეს გსგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, გსგ-ს რეალიზაციის პროცესში განხორციელდება შიდა მონიტორინგი. შიდა მონიტორინგს ახორციელებს გსგ-ს განხორციელებელი საორგანიზაციო ერთეული.

8.2.4. მოლაპარაკებებისა და რატიფიკაციის კომისია (ეგსგდ — ს სამუშაო ჯგუფი)

მუშა ჯგუფი დახმარებას გაუწევს პზქმ პირებს მინის ნაკვეთების რეესტრში გატარებისთვის საბუთების მომზადებაში. იგი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით, გსგ-ში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციების საფუძველზე, და განხორციელებული მოლაპარაკების შედეგად, მისცემს პზქმ პირებს შესაბამის შეთავაზებას. თუ შეთანხმება მოხდა, იგი აფორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებას და არეგისტრირებს საჯარო რეესტრში, რაც შემდგომ სათავეს ჩაუყრის კომპენსაციების გაცემის პროცედურას. თუ შეთანხმება პზქმ პირთან ვერ იქნა მიღწეული, ამის შესახებ იგი აცნობებს მუდმივმოქმედ კომისიას, რომელიც აღძრავს პროცესს ექსპროპრიაციის მოთხოვნით.

8.2.5. სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტორი

ეგსგდ-ის მიერ დანიშნული სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტორი პასუხისმგებელია სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებების ჩატარებაზე. გსგ-სა და ტექნიკური დაგეგმარების საფუძველზე სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტორი ახდენს გზის უფლების ნაწილად მიჩნეული შესყიდული ნაკვეთის დემარკაციას, რათა იგი ზუსტად იყოს გამიჯნული მინის დარჩენილი ნაკვეთისაგან, რომელიც ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფება. ეგსგდ-მ გსგ-ს განხორციელებელი საორგანიზაციო ერთეულის საშუალებით უნდა ჩაატაროს სამშენებლო საქმიანობის დეტალური მონიტორინგი, რათა აგრეთვე გარანტირებული იყოს, რომ წარმოებული სამუშაოები შეესაბამებინან დროებითი ზემოქმედებების შემარბილებელი ზომების მოთხოვნებს.

E-60 ავტომობილ მაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის (კმ55-80) რეაბილიტაციის

პროექტის გსგ-ს განხორციელების მიზნით:

- გსგ-ს განხორციელებელი საორგანიზაციო ერთეულის ფუნქციებს შეესრულებს ეგსგდ-ს მუდმივმოქმედი კომისია;
- მოლაპარაკებისა და რატიფიკაციის კომისიის ფუნქციებს განხორციელებს ეგსგდ-ს სამუშაო ჯგუფი.

9. მონიტორინგი და ანგარიშგება

მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის მიხედვით ყველა საკრედიტო პროექტზე რომელიც ითვალისწინებს მიწების შესყიდვას ან მოსახლეობის ადგილმონაცვლებას უნდა ხორციელდებოდეს პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი და შეფასება. პროექტის განხორციელების გსგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გსგ-ს განხორციელების და ასევე მის შემდგომ ეტაპზე ჩატარდება შიდა მონიტორინგი.

შიდა მონიტორინგი ჩატარდება ეგსგდ სამუშაო ჯგუფის მიერ რათა შეფასდეს გსგ განხორციელების მიმდინარეობა და დაზუსტდეს სამუშაო გეგმა, თუ იქნება ამის საჭიროება.

შიდა მონიტორინგის ინდიკატორებად აიღება პროცესის მიმდინარეობის უშუალო შედეგები. მსოფლიო ბანკს წარედგინება დასკვნითი ანგარიში, რომლის საფუძველზე მოხდება საზედამხედველო ვიზიტი, რათა შეფასდეს გსგ განხორციელების მიმდინარეობა.

10. ადგილმონაცვლეობის შეფასებები და ბიუჯეტი

ქვემოთმოტანილ ცხრილებში განზოგადებული სახით ასახულია განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრების მოცულობა და სტრუქტურა. დეტალური ინფორმაცია პროექტის შემოქმედების ქვემ მყოფ პირთა დონეზე მოტანილია დანართში 12.

გსგ-ში მოყვანილი კრებსითი ბიუჯეტი ასახავს გსგ ზოგად მოთხოვნებს. გარდა ამისა დანართები 12.1. და 12.2. მოიცავს თითოეული პუნქტ პირისთვის/მესაკუთრისთვის შემოქმედების და კომპენსაციის დეტალურ გაანგარიშებას. ეს მონაცემები გსგ განმახორციელებელი ჯგუფის მიერ იქნება გამოყენებული როგორც საბაზო, მოლაპარაკებების და კომპენსაციების გადახდის პროცესში.

10.1. მიწის კომპენსაციები

		ფართობი (კვ.მ)	ფასი (ლარი/კვ.მ)	ღირებულება (ლარი)	
კერძო	სახნავი	რწყვადი	132	3,1	409
		ურწყვადი	49322	1,2	59186
	სათიბ-სადოვარი	21533	0,8	17226	
	საკარმიდამო	7030	9,1	63973	
	კომერციული	10363	15,8	164139	
სულ				304934	

10.2. შენობა-ნაგებობების კომპენსაციები

		ფართობი (კვ.მ)	ფასი (ლარი/კვ.მ)	სულ (ლარი)
საცხოვრებელი სახლი		1576	83	130808
კომერციული ობიექტი		3064	95	291096
დამხმარე ნაგებობები	სანყოფი,ავტოფარეხი	591	54	31914
	ცხოველების სადგომი	20	24	480
	ლობე (გრძივი მეტრი)	3195	23	72206
სპორტული მოედანი		800	2,5	2000
სულ				528504

შენიშვნა: 1) ლობეების დემონტაჟის შედეგად მორჩენილი ვარგისი მასალა რჩება პუნქტ პირის საკუთრებაში;
2) შენობა-ნაგებობების შედეგად მორჩენილი სამშენებლო ნაგვის უტილიზაციის ახორციელებს კონტრაქტორი

10.3. ნარგავების კომპენსაციები

ნარგავები	ძირი	სულ (ლარი)
ვაშლი	55	8085
მსხალი	46	6624
კომში		5180
ქლიავი,ჭანჭური,	285	20805
ტყემალი	96	12864
გარგარი, ქერამი	21	1470
ატამი	20	1440
ბალი,ალუბალი	91	5915
კაკალი	159	33231
თხილი	51	1785
ყურძენი	563	12386
სხვა	125	10446
სულ ნარგავების კომპენსაციები	1549	120231

შენიშვნა: არამსხმოიარე ხეები რჩება პუქმ პირს საშემედ ან სამასალედ და არ ექვემდებარება კომპენსაციას.

10.4. მოსავლის კომპენსაციები

ერთნლიანი კულტურები	მოსავლი (ტ)	სულ (ლარი)
მარცვლეული (გარდა სიმინდის)	9,2	6412
სიმინდი	1,6	731,2
ბოსტნეული	0,9	360
საკვები კულტურები/თივა	24,6	5904
ხილი	მოსავლი (კგ)	
ვაშლი	644	644
მსხალი	703	703
კომში	634	1014,4
ქლიავი,ჭანჭური,	897	627,9
ტყემალი	782	391
გარგარი, ქერამი	463	556
ატამი	480	960
ბალი,	507	761
კაკალი	898	3951
თხილი	729	1239
ყურძენი	956	860
სხვა	897	1570
სულ მოსავლის კომპენსაცია		26685

შენიშვნა: გადახდა ხდება იმ შემთხვევაში თუ პუქმ პირი ვერ ახერხებს მოსავლის აღებას, ან იმ პირებისთვის რომლებიც განიცდიან ძლიერ ზემოქმედებას - როდესაც იკარგება იმ

მინის 50%-ზე მეტი რომელიც წარმოადგენს ოჯახის ძირითად საარსებო წყაროს.

10.5. ბიზნესისა და შემოსავლის კომპენსაციები

	სულ (ერთეული)	ხელფასი/შემოსავალი (ლარი/თვე)	თვე	სულ (ლარი)
დასაქმებული	73	120	3	26280
ბიზნესი	23	200	3	13800
სულ დასაქმებულების /ბიზნესების კომპენსაციები				40080

შენიშვნა: გადაიხდება საგადასახადო დოკუმენტებით დადასტურებული მონაცემების საფუძველზე ან პროექტის ზემოქმედების არეალში დადგენილი საშუალო მონაცემების მიხედვით (მითითებულია ცხრილში).

10.6. გსგ-ს სარეალიზაციო ბიუჯეტი

	(ლარი)
სულ გსგ-ს სარეალიზაციო ბიუჯეტი	127650

10.7. კრებსითი საბიუჯეტო მოთხოვნები

საკომპენსაციო ხარჯები	ლირებულება (ლარი)	ლირებულება (აშშ დოლარი)
პზკმ პირთა კომპენსაციები სულ	1020434	612690
მინა	304934	183089
ნაგებობა	528504	317325
ნარგავები	120231	72189
მოსავალი	26685	16022
ბიზნესი	40080	24065
გსგ-ს სარეალიზაციო ბიუჯეტი	127650	76643
გაუთვალისწინებელი ხარჯები (15%)	172213	103400
სულ გსგ ბიუჯეტი	1320297	792733

11. ლიტერატურა

- [1] Involuntary Resettlement Sourcebook, WB, 2004;
- [2] Social Analysis Sourcebook: Incorporating social dimensions into Bank-supported projects, WB, 2002;
- [3] Handbook on Resettlement: A Guide to Good Practice, ADB, 1998;
- [4] Friedman J., Ordway N., Income Property Appraisal and Analysis; Prentice Hall Inc., 1989;
- [5] Georgian Economic Trends: Quarterly Review; Georgian-European Policy and Legal Advice Centre, 2006
- [6] საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, საქართველოს ეგსსდ, 2005;
- [7] საქართველოს სოფლის მეურნეობა: სტატისტიკური კრებული 2005, საქართველოს ეგსსდ, 2006;
- [8] საქართველოს შინამეურნეობები: სტატისტიკური პუბლიკაცია 2004-2005, საქართველოს ეგსსდ, 2006;

12. დანართები

დანართი 1

E-60 ავტომაგისტრალის
იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის (KP 56- KP 80)
რეაბილიტაციის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი
ნაკვეთების ინვენტარიზაციისა და შეფასების ფორმა

ინვენტარიზაციისა და შეფასების ფორმა

E-60 ავტომობილური მაგისტრალის

იგოეთი-სვენეთის მონაკვეთი (KP 56- KP 80)

თარიღი: 2007 წ

--	--	--

თვე რიცხვი

ინტარვიუარი/აღმწერი:

რესპონდენტი:

1. ნაკვეთის იდენტიფიკაცია

1.1. ნაკვეთის ნომერი:

შესაბამისობაში უნდა იყოს საკადასტრო რუკის მონაცემებთან

1.2. ნაკვეთის ფართობი: კვ. მ.

1.3 პროექტისთვის აუცილებელი ფართობი: კვ. მ.

1.4. ნაკვეთის კლასიფიკაცია

1.4.1. საგზაო რეზერვის: 1-ღია, 2-არა

კერძო: 1-საკუთრი, 2-იჯარა, 3-ნებართვით დაკავებული, 4-უნებართვოდ

1.4.2. დაკავებული

სახელმწიფო: 1-იჯარა, 2-ნებართვით დაკავებული, 3-უნებართვოდ დაკავე-

1.4.3. ბული

1.4.4. სხვა (დააზუსტეთ) : 1-ღია, 2-არა

1.5. მესაკუთრის, მოსარგებლის (ადგილობრივი), მოდავის

სრული სახელი და მისამართი

გთხოვთ, გადაამოწმოთ თანდართული საბუთები და დარწმუნდეთ, რომ მეპატრონე იგივე პიროვნებაა, ვინც მითითებულია საბუთებში. თუ არ ემთხვევა, სთხოვეთ რესპონდენტს, რომ ახსნას ეს განსხვავება.

ასევე მიუთითეთ არაადგილობრივი მოსარგებლის სრული სახელი და მისამართი

2. ნაკვეთის გამოყენება

2.1. აღნიშნეთ ნაკვეთის სახეობა:

1-სასოფლო-სამეურნეო, 2-საკარმიდამო, 3-კომერციული, 4-სხვა არასასოფლო-სამეურნეო

2.2 თუ ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეოა მიუთითეთ:

- 2.2.1. ნაკვეთის ტიპი:
 1-სახნავი, 2-მრავალწლიანი ნარგავები, 3-სათბური 4-ბუნებრივი საძოვარი/სათიბი
- 2.2.1.1. თუ სახნავია, მიუთითეთ მისი მდგომარეობა
 1.-დამუშავებული, 2-ნასვენი, 3-დროებით დაუმუშავებელი,
- 2.2.1.2. თუ ნაკვეთი მრავალწლიანი ნარგავებისთვისაა მიუთითეთ მისი სახეობა
 1.-ხეხილის ბალი, 2-ვენახი, 3-სხვა მრავალწლიანი ნარგავები

2.3 თუ ნაკვეთი არ წარმოადგენს ბუნებრივ სათიბ-საძოვარს, მიუთითეთ ვინ ამუშავებს მას
 1-მფლობელი ან მოდავე, 2-ნებართვით დამკავებელი, 3-უნებართვოდ დამკავებელი

2.4 თუ ნაკვეთი სახნავია მიუთითეთ მისი გამოიყენება:

	გამოყენება	ფართი(კვ.მ)	მოსავალი (კგ)	ფასი (ლარი/კგ)	ვინ დათესა
2.4.1.	ნათესები				
	ხორბალი				
	სამარცვლე სიმინდი				
	კარტოფილი				
	მზესუმზირა				
	ბოსტნეული				
	ბალჩიული				
	საკვები კულტურები				
2.4.2.	ნასვენი				
2.4.3	დაუმუშავებელი				

2.5 თუ ნაკვეთი მრავალწლიანი ნარგავებისთვისაა მიუთითეთ მისი გამოიყენება:

სახეობა	ფართი(კვ.მ)	ძირი სულ	მსხმოიარე ძირი	მოსავალი (კგ)	ფასი (ლარი/კგ)	ასაკი	ვინ დარგა
ვაშლი							
მსხალი							
კომში							
ქლიავი							
ტყემლი							
ბალი							
გარგარი							
ატამი							
კაკალი							
თხილი							
ვაზი							
სხვა							

2.6 თუ ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა მიუთითეთ მონაცემები მასზე მყოფი მრავალწლიანი ნარგავების შესახებ

სახეობა	ძირი სულ	მსხმოიარე ძირი	ასაკი	ვინ დარგა
ვაშლი				

მსხალი				
კომპი				
ქლიავი				
ტყემლი				
ბალი				
გარგარი				
ატამი				
კაკალი				
თხილი				
ვაზი				
სხვა				

3. ნაკვეთზე მდებარე ნაგებობები და სხვა ობიექტები

3.1. მიუთითეთ ნაკვეთზე მდებარე ნაგებობები ან სხვა ობიექტები და მათი შესაბამისი მონაცემები:

3.1.1. საცხოვრებელი სახლი 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი

3.1.1.1. ფართობი გეგმაში (კვ.მ.)

3.1.1.2. სართულიანობა: (0-მშენებარე)

3.1.1.3. მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია

3.1.1.4. მფლობელის სრული სახელი და მისამართი

3.1.2. კომერციული ნაგებობა 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი

3.1.2.1. ფართობი გეგმაში (კვ.მ.)

3.1.2.2. სართულიანობა: (0-მშენებარე)

3.1.2.3. მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია

3.1.2.4. მფლობელის სრული სახელი და მისამართი

3.1.2.5 დანიშნულება:

1-საკვების ობიექტი (დააზუსტეთ), 2-ბენზინგასამართი სადგური,
3-მაღაზია(დააზუსტეთ)

4- საავტომობილო მომსახურების ობიექტი(დააზუსტეთ), 5-სხვა (დააზუსტეთ)

--

3.1.3. კედელი ან ლობე 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი

3.1.3.1. მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია

--

3.1.3.2. მფლობელის სრული სახელი და მისამართი

3.1.4.	სანყოფინი 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი	
3.1.4.1.	ფართობი გეგმაში (კვ.მ.)	
3.1.4.2.	სართულიანობა: (0-მშენებარე)	
3.1.4.3.	მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია	
3.1.4.4.	მფლობელის სრული სახელი და მისამართი	
3.1.5.3.	მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია	
3.1.6.	საზოგადოებრივი შენობა 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი	
3.1.6.1.	ფართობი გეგმაში (კვ.მ.)	
3.1.6.2.	სართულიანობა: (0-მშენებარე)	
3.1.6.3.	მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია	
3.1.6.4.	მფლობელის სრული სახელი და მისამართი	
3.1.6.5.	დანიშნულება	
3.1.7.	ცხოველების სადგომი 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი	
3.1.7.1.	ფართობი გეგმაში (კვ.მ.)	
3.1.7.2.	მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია	
3.1.7.3.	მფლობელის სრული სახელი და მისამართი	
3.1.8.	სპორტული მოედანი 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი	
3.1.8.1.	ფართობი გეგმაში (კვ.მ.)	
3.1.8.2.	მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია	

3.1.8.3. მფლობელის სრული სახელი და მისამართი

3.1.9 სხვა 1- ფუნქციონირებადი, 2-არაფუნქციონირებადი

3.1.9.1. ფართობი გეგმაში (კვ.მ.)

3.1.9.2. მასალები და სხვა რელევანტური ინფორმაცია

3.1.9.3. მფლობელის სრული სახელი და მისამართი

3.1.9.4. დანიშნულება

3.2. თუ ნაგებობა წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს მიუთითეთ მასში მცხოვრები ოჯახის უფროსის სრული სახელი

3.3. მიუთითეთ ოჯახის უფროსის სტატუსი

1-მფლობელი ან მოდავე, 2- დამქირავებელი მფლობელის ნებართვით, 3-მოიჯარე, 4-ნებართვით დამკავებელი, 5-უნებართვოდ დამკავებელი

--

